# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   სამშაბათი, 11 ივლისი 1995 № 40 (178)   ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სარბიელის“ კორესპონდენტი ზურაბ მეძველია ლონდონიდან გვატყობინებს:

# რბილმა ბურთებმა ბალახის ჩოგბურთს ახალი სული შთაბერეს

## უმწვრთნელო ამერიკელმა გერმანელებს დუბლი ჩაუშალა



შტეფი გრაფი



პიტ სამპრასი

წლევანდელი უიმბლდონი ერთობ საინტერესო გამოდგა. კრიტიკოსები ახლა ალბათ ჩაჩუმდებიან, თორემ ბოლო წლების ულიმლამო, მონოტონური ფინალების შემდეგ ერთხმად გაიძახოდნენ, ბალახზე თამაშს აზრი დაეკარგაო. წელს, მოგეხსენებათ, ბურთები გარბილეს, რამაც მოწოდებას უწინდელი მნიშვნელობა დაუკარგა და თითქოს თიხაზე თამაშობენო, ბალახზეც გაჩაღდა ხანგრძლივი გათამაშებები.

ხუთშაბათი, 6 ივლისი ქალთა ნახევარფინალების დღე იყო. მთავარი კორტი ჯერ ესპანელებს — არანტა სანჩეს-ვიკარიოს (2) და კონჩიტა მარტინესს (3) დაეთმოთ. პირველი მათგანი უიმბლდონის ნახევარფინალში პირველად კი თამაშობდა, მაგრამ მერე დიდი სლემის ზედიზედ მეოთხე ფინალში გავიდა, მეორემ კი შარშან უიმბლდონში მოიგო დიდ სლემზე თავი პირველი ტიტული, წელს კი მწვრთნელად ბრაზილიელი კარლოს კირმაიერი დაიყენა და მშვენივრად ასპარეზობს.

პირველი ხელი 40 წუთში მოიგო არანტამ 6:3. მან ერთი ბრეიქი გააზერხა — მეტოქეს მოწოდება მოუგო და ამით 3:1 დაწინაურდა. მერე მარტინესმა ტაიმ-აუტი ითხოვა — ფეხებზე კოჟრები დაუწყლულდა, რაც დაუჯერებელია: ნუთუ მსოფლიო დონის ჩოგბურთელს ფეხსაცმელი ისე ვერ შეურჩევია, ფეხი რომ არ ატკინოს?

მეორე ხელშიც თავიდან სანჩესს წაუვიდა საქმე კარგად — 5:2 დაწინაურდა, მაგრამ მარტინესმა მაინც გაუყაიმა ანგარიში. თაი-ბრეიქი კონჩიტასათვის კატასტროფულად დაიწყო — 0-4 აგებდა და სასოწარკვეთილიც ჩანდა, მაგრამ უცებ გარდაისახა და 7-5 გამარჯვებით უცილობელ მარცხს დაუძვრა. პარტიათა ანგარიში გათანაბრდა 1-1. ამ ხელმა 56 წუთს გასტანა.

ამდენმა ბრძოლამ და მტკივანმა ფეხებმა ეტყობა ისე გატანჯეს ჩემპიონი, რომ მესამე ხელში უბრძოლველად დანებდა. სანჩესმა 6:1 მოიგო და გახარებული ზედ კორტზე გულაღმა წამოწვა.

მეორე ნახევარფინალში 1993 წლის დრამატული ფინალის მონაწილეები — შტეფი გრაფი (გერმანია, 1) და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 4) შეაბნენ. გრაფმა ამჯერადაც ნერვიულად დაიწყო. პირველ ხელში ჩეხმა სამი ბრეიქი მოახერხა, გერმანელებმა — ორი და გამარჯვებაც ნოვოტნას დარჩა 7:5, მაგრამ მერე შტეფიმ თანდათან ააწყო თამაში და ჯერ 6:4 მოიგო, შემდეგ — 6:2. ამ ბოლო ხელში შტეფის ანგარიშზე ორი ბრეიქია.

პარასკევს, 7 ივლისს, ჯერ პიტ სამპრას (აშშ, 2) — გორან ივანიშევიჩის (ხორვატია, 4) ნახევარფინალი მოეწყო, მერე კი ანდრე აგასი (აშშ, 1) — ბორის ბეკერისა (გერმანია, 3). ორივე თამაშმა აგვაფორიაქა მაყურებლები. პირველში გაიმართა დაყუმბარებაში შეჯიბრი: ივანიშევიჩმა 38 ეისი ჩააგდო, სამპრასმა — 21, მაგრამ თავშესაქცევი რამეებიც მრავლად ვიხილეთ. ხორვატს ერთი ნაკლი შევნიშნე: ეტყობა, ზედმეტად ემოციურია და მოგებული ხელის შემდეგ ერთგვარად დუნდება. სწორედ ამ დროს პიტი მეტოქეს მისსავე მოწოდებას მოუგებდა ხოლმე. მოკლედ, სეირი, 2 საათისა და 34 წუთის განმავლობაში რომ შეგვაქცია, ხუთ ხელში მოიგო სამპრასმა 7:6, 4:6, 6:3, 4:6, 6:3 და საკვირაოდ ძველ მეტოქესა და მეგობართან — აგასისთან სათამაშოდ გაემზადა.



ბეკერი მარტინა უიმბლდონს ვერ ელევა

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ეს ანდაზა გამახსენდა მეორე ნახევარფინალის ბოლოს. თანამედროვე ფანქივით ჩაცმული ამერიკელი სომეხი თავიდან იოლად გაუსწორდა მობერებულ გერმანელს, თავისი პირველი უიმბლდონი ამ ათი წლის წინ 17 წლისამ რომ მოიგო. ანდრემ პირველ ხელში ორი ბრეიქი მიითვალა, 6:2 მოიგო და მეორეშიც 4:1 დაწინაურდა, მაგრამ დამსწრე საზოგადოებრიობამ დროზე გავამხნევეთ ბორისი. და მანაც გადასარევი თამაშით გადაგვიხადა მადლობა: თითქმის წაგებული ხელი გააყაიმა, თაი-ბრეიქი კი 7-1 მოიგო, რასაც მქუხარე ტაში შევაგებეთ.

აგასი, ბოლო ხანებში რომ ბოგინობს მსოფლიოს კორტებზე, არ გამტყდარა, მაგრამ ხალხის ფავორიტმა მაინც იძალა, თუმც სულ მისხალ-მისხალ. მესამე ხელის ბედი ერთმა ბრეიქმა გადაწყვიტა — 6:4 გაიმარჯვა ბორისმა. მეოთხე ხელი კიდევ უფრო თანაბრად წარიმართა 6:6. ისევ თაი-ბრეიქი. აი, აქ კი გაგვახსენა ბეკერმა სიჭაბუკე და 7-1 რომ მოიგო, შეხტა. ამ დროს აქ, ლონდონში საღამოს შვიდი საათი სრულდებოდა.

შაბათს, 8 ივლისს, ჩემი მასპინძლები ბირმინგემში მიპირებდნენ წაყვანას კრიკეტზე დასასწრებად, მაგრამ არ გავბრიყვდი და ამ თამაშს ტელევიზორში ვუყურე, უიმბლდონში კი დროულად წავედი. მერე რომ ვნახე ჩემი დოსტები, ერთიანად ყურჩამოყრილი ჩანდნენ, ეს რა დღე დაგვაყარეს ვესტ-ინდოელებმა, ამ სიშორეზე სულ რაღაც საათნახევრის საყურებლად წაგვიყვანესო.

უიმბლდონში ამდენი წანწალის შემდეგ აქაურობას მეღამი კარგად დავუჭირე და ლამაზად დახარისხებული, დატკბილული მარწყვიც გაჩელით, თბილისში ერთ-ორ ადგილზე რომ ჩაგიკოკლოზინებს კაცს პირს.

თამაში ჯმუხმა ესპანელმა გოგომ უკეთ დაიწყო. ტანადმა შტეფიმ თავისი პირველივე მოწოდება წააგო და პირველი ხელიც ზედ მიაყოლა 4:6, მაგრამ ამან, ეტყობა, ისე გაამწარა, რომ უეცრად მხეცივით ათამაშდა და მეორე ხელი 6:1 მოიგო.

მესამე ხელი თანამედროვე ჩოგბურთის თვალმარგალიტი გამოდგა. გადაგვრია მეთერთმეტე გეიმმა, რომელშიც ესპანელი აწვდიდა. ეს თამაში 20 წუთი გაგრძელდა და 32 ქულის გათამაშება ჩაიტია. დაფიქსირდა 13 „დიუსი“ (მავანს გეიმის მოსაგებად ერთი ბურთის ჩაგდება რომ ყოფნის, მაგრამ მეტოქე რომ გაუქარწყლებს შანსს, ერთი სიტყვით, ქალაქურად „როვნო“ რომ ჰქვია). ბოლოს შტეფიმ იმარჯვა, ბრეიქი გააზერხა, მერე თავისი მოწოდებაც მოიგო, რითაც მესამე ხელი 7:5 დაამთავრა და მეექვსედ გახდა უიმბლდონის ჩემპიონი, რითაც ბილი-ჯინ კინგსა და სუზან ლონგლენს დაეწია, მაგრამ ჯერაც ვერ მივა ნავრატილოვასთან, ვისაც ერთეულთა თანრიგში ცხრა უიმბლდონი აქვს მოგებული.

დაჯილდოება ძალიან მომეწონა: კენტის დაჩესმა და შეჯიბრის მთავარმა ორგანიზატორმა კრის გორინჯმა 1886 წლისეული დიდი სინი გადასცეს გრაფს, სანჩეს-ვიკარიოს კი მისი მომცრო ასლი უბოძეს. ესპანელი ქალი სულ იღიმებოდა, მერე კი გერმანელს თავისი ჯილდო მისაში ხუმრობით გაუცვალა, მაგრამ შტეფიმ, ემანდ არ გაუტკბეს ანაც გამთვალოსო, მალევე დაიბრუნა თავისი დიდი სინი.

ამავე დღეს ვაჟ წყვილთა ფინალიც გაიმართა. ზედიზედ მესამე წელია ბადალი არა ჰყავთ ავსტრალიელ „ვუდებს“ (ტყეებს): მარკ ვუდ-ფორდსა და ტოდ ვუდბრიჯს. მათ ამჯერად 7:5, 7:6, 7:6 დაამარცხეს ამერიკელები ლიჩი და მელვილი.

და აი, დადგა კვირაც, 9 ივლისი, ვაჟთა ფინალისა და იმავდროულად წლევანდელი უიმბლდონის ბოლო დღე. ბეკერი მეშვიდედ თამაშობდა ფინალს და თუ მოიგებდა, 1989 წლის დარად გერმანული დუბლი აღინუსხებოდა. მეტოქეთა წინა შეხვედრების ბალანსი 6-5 იყო სამპრასის სასარგებლოდ.

სანამ ამ მატჩზე მოვყვები, ვიტყვი, რომ ბოლო დღეს ერთბაშად ორი ფინალი ითამაშა ამერიკელმა ქალმა ჯიჯი ფერნანდესმა და ორივეში დამარცხდა. ჯიჯიმ და ჩეხმა კირილ სუკმა წააგეს მარტინა ნავრატილოვასა და ჯონათან სტარკთან (აშშ) 4:6, 4:6, ჯიჯიმ და ნატაშა ზვერევამ (ბელარუსი) კი სანჩეს-ვიკარიოსა და ნოვოტნას წყვილთან 7:5, 5:7, 4:6.

იხილეთ მერვე გვერდი

# სად არის თქვენი გარანტიები?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვაცნობა, რომ ამჟამად ფედერაციაში მზადდება პროექტი, რომლის თანხმადაც ნავარაუდებია ეროვნული ჩემპიონატიდან ზოგიერთი გუნდის მოხსნა. ბატონ ჯემალის თქმით, ამის მიზეზი ისაა, რომ ამ გუნდებს არ გააჩნიათ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი მყარი ფინანსური გარანტიები — არ გადაუხდიათ სამსაჯო და საინსპექტორო მომსახურების ხარჯები. „ვერგადამხდელთა“ შორის ყოფილან „დურუჯი“, „კახეთი“, „გურია“, „ბახმარო“, „მერცხალი“, „სჯური“, „სამგურალი“, „იმერეთი“, „მაღაროელი“... ამ დღეებში ფედერაციის ხელმძღვანელობა სათანადო გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

ფედერაციაში მიაჩნიათ, რომ დაუხანებლად საჭიროა განგაშის ატეხვა რაიონებში, გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, როგორია რეალური ვითარება. ნუთუ ისეთ რაიონებში, როგორებიცაა თელავი, ლანჩხუთი და სხვა, არ შეუძლიათ ერთი გუნდის შენახვა. როდესაც ეროვნული ჩემპიონატი დავიწყეთ, თელავს ხუთი გუნდი ჰყავდა, მერე კი... ჯერ ვარდისუბნის „შუამთა“ გამოაკლდათ, შემდეგ „ნაფარეული“, არადა, ნაფარეულში მშვენიერი საფეხბურთო ბაზა ჰქონდათ ორი სათამაშო მინდვრით, განათებით, გასახდელებით, მოკლედ, მთელი კომპლექსი, ახლა კი იქაურობა გაპარტახებულიაო. ერთი სიტყვით, კახეთში ფეხბურთს ძალიან უჭირს.

ამ გარემოებებს, ბუნებრივია, კალენდრის შედგენა-დამტკიცებაც შეუბრკოლებია. რა კალენდარზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რაოდენობა ჯერაც დასადგენია, სანამ ეს არ გვეცოდინება, მანამ კალენდარს როგორ შევადგენთო.

შევიტყვეთ უეფას ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კოორდინატორის ერიხ ეპლეს საქართველოში ამასწინანდელი ვიზიტის ზოგიერთი ახალი დეტალიც.

ბატონ ვახტანგ გოგუაძესთან შეხვედრისას სტუმარს ხაზგასმით აღუნიშნავს, ევროთასებზე საქართველოს სამი გუნდის დაშვებაში გადამწყვეტი სიტყვა თქვენი ნაკრების ბოლოდროინდელმა წარმატებულმა გამოსვლამ თქვაო. ეს რომ არა, სამი გუნდის გამოყვანის უფლებას ვერანაირად ვერ მიიღებდითო.

სტუმარს, როგორც უკვე გაუწყეთ, ბათუმში არსებული ვითარებაც მოსწონებია და არც სტადიონის მონახულებისას გამოუთქვამს დიდი შენიშვნები. ბატონ ასლან აბაშიძეს აღუთქვამს, ყველა ნაკლი უმოკლეს ვადაში გამოსწორდება და ერთ თვეში სტადიონს ვერ იცნობთო. სამტრედიაში კი უფრო რთული სიტუაცია შექმნილა — ჯერ თვითონ სტადიონი როგორია, ყველამ იცის, ამას იქ დახვედრილი ანტისანიტარიაც დამატებია, რაც ეპლეს აშკარად არ ეპიტნავა, ისევე, როგორც სასტუმრო წყალტუბოში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის და მხოლოდ სამ ნომერშია შხაპი. სტადიონისა და სასტუმროს უვარგისობის გამო „სამტრედიას“ უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარს არ ეტყვიან, მაგრამ ალბათ თბილისში ან სულაც საზღვარგარეთ მოუწევს თამაში. ევროთასების წილისყრამდე, 11 ივლისს, ჩატარდება ტასკ-ფორსის სხდომა, სადაც ეპლეც წარადგენს თავის დასკვნებს. სავარაუდოდ, აქ პრობლემატური მხოლოდ ის იქნება, სად ითამაშოს „სამტრედიამ“.

„დინამოს“ თაობაზე არავითარი პრობლემა არ ყოფილა — იყო პატარა შენიშვნები ნაგავსა და ანტისანიტარიაზე.

მამუკა კვანტალიანი



კახი კაჭარავას შეტევა მამუკა გვასალიამ გააუვნებლა

# ყიფიანი ლაკონურია, ფილია — დარდიანი

გუშინწინ დილმის ბაზაზე გაიმართა საკონტროლო მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ფოთის „კოლხეთს“ შორის. დინამოელებმა ამ შემადგენლობით დაიწყეს: ზოიძე, ბერაძე, არჩვაძე, ჭიჭველიშვილი, მაჭავარიანი, გახოკიძე, გიორგი კილასონია, ცქიტიშვილი, ცაავა, კაჭარავა, ხომერიკი. მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოვიდნენ მეკარე ჭანტურია, იაშვილი, დემეტრაძე და კობიაშვილი. ფოთელებმა, ვინც ჰყავდათ, ყველა, ჩვიდმეტივე ფეხბურთელი გამოიყვანეს, ოღონდ ეს იყო, მათი ლიდერი გიორგი დარასელია არ ჩანდა მინდორზე. სამაგიეროდ, კოლხელთა შორის იყო ზუგდიდიდან გადასული გელა გაბისონია. დინამოელებმა შვიდი უპასუხო გოლი გაიტანეს: ლევან ხომერიკმა და ალექსანდრე იაშვილმა — 2-2, გია კილასონიამ, კახი კაჭარავამ და გიორგი დემეტრაძემ. ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა ექსბათუმელმა ფორვარდმა ლევან ხომერიკმა, არც ცქიტიშვილსა და კილასონიას უთამაშიათ ნაკლებად. კახი კაჭარავაც ჯიქურ უტევდა, მაგრამ აშკარად აკლდა პასები. ფოთელები კი ძალზე ულიმღამოდ გამოიყურებოდნენ, შეტევითაც ქაოტურად უტევდნენ და აშკარად არ იყვნენ თამაშის იშტაზე. პირველს სწორედ ფოთელთა მწვრთნელს სოსო ფილიას გავესაუბრე. ამასწინანდელი იმედიანი ინტერვიუს შემდეგ იგი იმ დღეს ერთობ შეშფოთებული გახლდათ.

— წელში გაგვწყვიტა გიორგი დარასელიას საქციელმა. უკანასკნელ წამამდე ველოდი ფოთში, მაგრამ არა და არ ჩამოვიდა. თავიდან რომ ეთქვა, მივდივარო, რომელიმე ფეხბურთელს დავიმატებდი და ცოტა იმედიანად ვიქნებოდი, მაგრამ პირის ასეთი გატეხა ჩემთვის არ უნდა ეკადრებინა, მითუმეტეს, რომ მე და მას მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობის გარდა სხვაც ბევრი რამ გვაკავშირებდა, თანაც ჩვენ მას პრაქტიკულად ყველა პირობა შევუსრულეთ, რაც მოითხოვა. ყველაზე მეტად პირისგამტეხი კაცი არ მიყვარს და ვისაც ვენდობოდი, ზუსტად იმან დამალალატა. გავიგე, ახლა „სამტრედიაში“ ვარჯიშობსო. ეთქვა მაგ დალოცვილს და ვინ ეტყოდა უარს — სეზონის ბოლოსვე გავუშვებდით. ახლა ყველა ხეირიანი მოთამაშე „დატაცებულია“ და წარმოდგენა არა მაქვს, დარასელიაზე „აწყობილი“ გუნდი როგორ შევცვალო ასე უცებ... მოკლედ, ჩვიდმეტი ფეხბურთელი დამრჩა. უცხოეთში წასულ დანელიას და მახარაძეს, სხვა გუნდში გადასულ ბოჭორიშვილს დაემატნენ ჯონი კალანდაძე და კობა ჯინორია, რომლებიც ვერ შეეწყვნენ ჩვენი გუნდის სათამაშო სტილს.

„დინამოსთან“ დიდი ანგარიშით წაგება კატასტროფად არ აღვიქვამ, რადგან გუშინ ბიჭები ძალიან დავტვირთე — ორჯერ ვავარჯიშე, დღეს დილას კი თბილისს გამოვემგზავრეთ, ბულგარეთში წასასვლელად საჭირო ქართული პასპორტები უნდა აგველო. „დინამოს“ ხელმძღვანელობაც დაგვთანხმდა და დღე უვარჯიშებლად რომ არ გაგვცდენოდა, ეს საკონტროლო მატჩიც ამიტომ ვითამაშეთ. ასე რომ, ველოდი დიდი ანგარიშით წაგებას...

10 ივლისს, როგორც გითხარით, ბულგარეთს მივემგზავრებით. რადგან გუნდში ვაკანტური ადგილი გამოგვიჩნდა, შევეცდებით თელავს „კახეთის“ ყოფილი მცველი დავით სოლოღაშვილი დავიმატოთ: თუ მას საბუთების გაფორმებას მოვუსწრებთ და ბულგარეთში შეკრებაზეც წავიყვანთ, მაშინ იგი ჩვენთან დარჩება და დაცვაშიც მოვსინჯავ მის შესაძლებლობლებს და ნახევარდაცვაშიც. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ამ ჩვიდმეტი ფეხბურთელით გავემგზავრებით და ჩემპიონატსაც ასე დავიწყებთ...

„დინამოს“ მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი ამჯერად ლაკონური იყო. თქვა, რომ ჯერ ნაადრევია „დინამოს“ გამოკვეთილ სახეზე ლაპარაკი. დღევანდელმა თამაშმა დადებითიც გამოაჩინა და ის უარყოფითიც, რომლის აღმოფხვრასაც შევეცდებით. რაც შეეხება იმ კონტინგენტს, რომელმაც VII ჩემპიონატი უნდა ითამაშოს, ამაზე თურქეთის ტურნეს მერე მოგახსენებთო.



დარასელია — „სამტრედიაში“, „კოლხეთი“ — გასაჭირში

## «სამტრედია» - ქუდზე კაცი

გიორგი დარასელიას სასკანდალო გადასვლის გარდა მოახლოებული სეზონის წინ ბუნებრივია, ტრანსფერებიც განხორციელდა. „სამტრედია“ სერიოზულად ემზადება ახალი სეზონისა და უეფას ტურნირისთვის და აკი გადაუბირებია კიდეც ბადრი დარასელია („ზუგდიდი“), ზვიად პაპიძე („ანცი-ზოოვეტი“), ვალტერ გუჩუა („შევარდენი“), თეიმურაზ გადელია (როგნოს „ვერესი“), ზაზა ჯანაშიას „სამტრედიასთან“ სამწლიან კონტრაქტზე მოუწერია ხელი, ჩინეთიდან დაბრუნებული ზაალ ქოჩლაძე და კოტე მელქაძეც იქ ვარჯიშობენ. ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელმა რევაზ ბურკაძემ კი, ისევე როგორც 20 წლის წინ გიგა ნორაკიძემ, გეზი ახალგაზრდებზე აიღო: ახალი სეზონიდან გუნდს გააძლიერებენ ექს-სამგურალელი ქუთაისელები აშვეთია და ჩხეტიანი, რამაზ შენგელიას ვაჟი გიორგი და 17 წლის მიხეილ მესხი. „მრეტების ერთ-ერთი მწვრთნელი ივანე ლუცენკო ტირასპოლის „ტილიგულში“ გაუძღვა ჯუბა ჩუხუას, გურამ ასპინძელაშვილს, გელა ქორიძეს, დავით ჯანელიძეს, მიხეილ საჯაიას. კვიპროსის გაემგზავრა კახა გოგოლაძე, რომელიც ბოლო ხანს „შევარდენში“ თამაშობდა. ამ ქვეყანაში დარჩა და „ნეა სალამინასთან“ მოაწერა ხელი კონტრაქტს გოჩა გოგრიჭიანმა. საბოლოოდ გააკეთა არჩევანი კახი გოგიჩაიშვილმა — იგი თბილისის „დინამოში“ ითამაშებს.

ბოლნისში ფეხბურთი მუდამ გამორჩეულად უყვარდათ, ფეხბურთელებსაც ყოველთვის დიდი პატივს სცემდნენ. თეიმურაზ სტეფანიას ხსოვნას დღესაც სათუთად ინახავენ, მის საფლავს მზრუნველი ხელი არასოდეს მოპკლებია. ბოლნისში გაიზარდა საქართველოს ნაკრებისა და ამჟამად ვლადიკავკაზის „სპარტაკის“ თავდამსხმელი მიხეილ ყაველაშვილი. აქ ბევრი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ არასოდეს არავის უგრძვნია თავი დაჩაგრულად. 1986 წელს, საქართველოს თასის ფინალში, როდესაც „სიონმა“ პენალტების სერიით ცხინვალის „სპარტაკი“ დაამარცხა, ბოლნისელთა მეკარე შოთა კუდუხოვი ლამის რაიონის გმირად შერაცხეს და მინის ნაკვეთიც კი აჩუქეს, ჩვენთან დასახლდიო, მაშინ რაიონის ხელმძღვანელობა ხელის გულზე ატარებდა ფეხბურთელებს. კუდუხოვის გარდა გუნდის ღირსებას იცავდნენ გია ჯაკობია, ძმები უგულავები, იური ჯაგოვი, გიორგი ყიფშიძე... ბევრმა მათგანმა წელსაც შეიტანა თავისი წვლილი „სიონის“ „დაწინაურებაში“ — მეორიდან პირველ ჯგუფში გადასვლაში.



ნოდარ ხიზანიშვილი

# ბოლნისს სიონიზმი მოსძალებია

ნოდარ ხიზანიშვილმა, თბილისის დინამოელთა ყველაზე დიდი გამარჯვების მონაწილემ, მწვრთნელობა ბავშვთა ფეხბურთიდან დაიწყო, მერე „სამტრედიას“ ედგა სათავეში, სეზონის წინ კი „სიონი“ ჩაიბარა და...

**— რა შეიცვალა სიონში წინა სეზონიდან დღემდე?**

— ჯერჯერობით გვაკლია ზურაბ ქოიავა — მენისკის ოპერაცია აქვს გასაკეთებელი, მორჩება და ისევ დაგვიბრუნდება. ასაკის გამო თამაშს თავი დაანება ბესო უგულავამ, სხვა „ძველები“ კი გუნდში არიან. ცხადია გვსურს გუნდის გაძლიერება, ზოგ ფეხბურთელთა მოწვევა, მაგრამ კონკრეტულად რა როდის გადაწყდება, ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

**— რას ისახავს მიზნად პირველი ჯგუფის დებიუტანტი?**

— სწორედ იმიტომ, რომ დებიუტანტები ვართ, დიდ მიზნებს არც ვისახავთ. პრაქტიკულობას ვამჯობინებთ — ვეცდებით, ნათლობა მივიღოთ, ჯგუფში ადგილი შევინარჩუნოთ, დანარჩენი კი შემდეგ გამოჩნდება.

**— რა არის ის „დანარჩენი“, რომლის გამოჩენასაც, როგორც მწვრთნელი, ისურვებდით?**

— რა უნდა იყოს მწვრთნელის ოცნება, თუ არა ჯანსაღი, ერთ მუშტად შეკრული, პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც ლაღ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. თუ ეს შევძელი, თამამად ვიტყვი, რომ მიზანს მივაღწიე. შედეგიც, ცხადია, არ დააყოვნებს.

**— თქვენი აზრი ჩვენი ჩემპიონატების სტრუქტურაზე–**

— ერთადერთი, რაც ამ საკითხზე შემიძლია გითხრათ, ესაა: ჩვენ ამჟამად დაახლოებით 30-35 ოფიციალური თამაში გამოგვდის მთელი ჩემპიონატის მანძილზე, რაც, ჩემი აზრით, ძალზე ცოტაა. ვერც საკონტროლო შეხვედრებს ვმართავთ. არადა, უფრო მეტი უნდა ვითამაშოთ, თორემ მარტო ვარჯიშით სასურველ დონეს ვერ მივაღწევთ.

**— მზადებას თუ შეუდექით?**

— 7 ივლისიდან. მალე შეკრებაზე გადავალთ. ძირითადად ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს დაგეგმილი, არის ისეთი დღეებიც, როცა გუნდს სამჯერ მოუწევს სავარჯიშოდ გამოსვლა.

**— რაიონის ხელმძღვანელები გეხმარებიან?**

— მათგან ყურადღება არ გვაკლია. საერთოდ, მუდამ ასე იყო და იქნება: თუ რაიონის პირველ კაცს ფეხბურთი უყვარს, იმ რაიონში ყოველთვის კარგი გუნდია, თუ არადა... ამ მხრივ ჩვენ პრობლემა არ გვქონია. რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი შოთა რეხვიაშვილი და ახალი გამგებელი გურამ ავქოფაშვილი ამ მხრივ მართლაც სამაგალითონი არიან. მათ თანადგომას გუნდი ყოველთვის გრძნობდა. არ შემიძლია არ აღვნიშნო გუნდის უფროსის მერაბ ჯაფარიძის უდიდესი წვლილი „სიონის“ წარმატებაში — ეს კაცი ერთხელაც არ ჩარეულა მწვრთნელის საქმეში, თავისი საქმე კი ნამდვილად ჩინებულად იცის.

**— თქვენი შვილების შესახებ ადრე ვწერდით კიდეც–**

— უფროსი — გიორგი „სიონში“ ვარჯიშობს, უმცროსი — ზურაბი — თბილისში, „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაშია ვახტანგ კოპალეიშვილთან. კარგი მონაცემები აქვთ, მაგრამ მე მუდამ პრეტენზიული ვარ მათი თამაშის მიმართ...

მერაბ ჯაფარიძე 1967-84 წლებში ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა, 1985 წელს კი გუნდი ჩაიბარა და ამ დღიდან დაიწყო კიდეც „სიონის“ აღმასვლა. ახალი გუნდის უფროსის ხელში ბოლნისელები 1986 წელს საქართველოს თასის მფლობელები გახდნენ, 1987-ში თასის ფინალისტები. 1992-94 წლებში მერაბი გუნდს ჩამოშორდა, შარშან დაბრუნდა, გუნდის იღბლიანი სტარტის შემდეგ მიზნად პირველ ჯგუფში გადასვლა დაისახა და აკი განახორციელა კიდეც ჩანაფიქრი. ამჟამად ბოლნისის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი კვლავაც „სიონის“ გუნდის უფროსი და მისი ერთგული მფარველია.

**— პირველ ჯგუფში გადასულ გუნდს თამაშისა და წვრთნის უკეთესი პირობები სჭირდება და მოეთხოვება...**

— სათამაშო მინდვრის საფარი, თავადაც ხედავთ,ურიგო მდგომარეობაში არ გახლავთ. მთლიანად სტადიონსაც კოსმეტიკური შელამაზებაღა თუ სჭირდება. სამერმისოდ ჩაფიქრებული გვაქვს, რომ ჩვენი სტადიონი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო იყოს. გუნდს ჯერჯერობით ბაზა არ გააჩნია, მაგრამ აქვე ახლოს სოფელ რატევანში მშვენიერი სტანდარტული სტადიონია და ალბათ სეზონის წინ სწორედ იქ მოვემზადებით.

**— სტუმარ გუნდებს სად მიიღებთ?**

— ბოლნისში არის არცთუ ურიგო სასტუმრო, რომელსაც ცოტას შევალამაზებთ და სირცხვილს ნამდვილად არ ვჭამთ.

**— „სიონის“ დაწინაურება ხარჯებსაც საგრძნობლად გაგიზრდით...**

— კლუბის ფინანსური მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გუნდს ნორმალური ვარჯიშისა და თამაშის ყველა პირობა ექნება. გვყავს საკუთარი უცხოური ავტობუსი, რომელიც მთლიანად კლუბის განკარგულებაშია. გუნდის ძირითადი სპონსორები არიან სააქციო საზოგადოება „მადნეული“, ბოლნისის სატყეო მეურნეობა და სოფლის მეურნეობის სამმართველო, რომლის უფროსი ვაჟა ავქოფაშვილი კლუბის პრეზიდენტია. გვეხმარებიან რაიონში მოქმედი დანარჩენი ორგანიზაციებიც. არაფერს ვამბობ რაიონის ხელმძღვანელებზე, რომლებიც ყველანაირად გვიდგანან მხარში რაიონის გამგებლის გურამ ავქოფაშვილის თავკაცობით. ბატონი გურამი უკვე რამდენჯერმე შეხვდა ფეხბურთელებს და აკი ამ შეხვედრა-საუბრებმა მოთამაშეებს აშკარად შემატა საბრძოლო ჟინი. მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ბოლნისში საფეხბურთო ბუმია.

**— საკმაო ხანია, გუნდის უფროსი ბრძანდებით. გამორჩეული სურვილიც გექნებათ–**

— ერთი რამ მართლაც გამორჩეულად მსურს — დავამყარო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჩვენ „სეხნიებთან“, შვეიცარიის საფეხბურთო კლუბ „სიონთან“. ვთხოვე კიდეც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამ საქმეში დახმარება და, იმედი მაქვს, ბატონი ნოდარ ახალკაცი შეგვეწევა ამ საკითხის მოგვარებაში. ყველაზე დიდი ოცნება კი ისაა, რომ დადგეს დრო, ბოლნისის „სიონმა“ ევროთასებზე იასპარეზოს.

**— თქვენთვის წარმატებულ გასულ სეზონში თავდაპირველად დაწინაურების მერე ერთი ხანობა ჩამოქვეითდით კიდეც. რა იყო მიზეზი — მძაფრი კონკურენცია თუ კერძო გარემოებანი?**

— ერთიც და მეორეც. ბევრი დამეთანხმება, რომ მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონაში პირველ ჯგუფში გადასასვლელად უფრო მძაფრი ბრძოლა იყო, ვიდრე დასავლეთისაში. ჩვენი კონკურენტები საკმაოდ ძლიერი გუნდები იყვნენ — „მესხეთი“, „ანცი-ზოოვეტი“, „მერანი 91“ და „ბაჩო-მერანი“. თავიდან არცკი ვგეგმავდით პირველ ჯგუფში გადასვლას, მაგრამ გუნდმა საწყის რვა ტურში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა, ბიჭებიც მონდომებულები ჩანდნენ და აკი პირველ წრეში ერთხანს ცხრა ქულითაც დავწინაურდით. შემდეგ ტრავმებმა შეგვაბრკოლა, სხვაობაც მინიმუმამდე შეგვიმცირდა, ის კი არა, ორი ტური „მესხეთი“ ლიდერობდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენ ვიძალეთ. ჩვენი მეტოქეებიდან გამოვყოფდი „მერანი 91“-სა და „ბაჩო-მერანს“ — ამ ახალგაზრდულ, პერსპექტიულ გუნდებს მომავალი წინა აქვთ.

**— სამომავლოდ, ბუნებრივია, რეზერვზეც მოგიწევთ ფიქრი...**

— ბოლნისის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის სამ ასაკობრივ ჯგუფში 40 ბავშვი ვარჯიშობს. მათ „სიონის“ ყოფილი მოთამაშეები ტარიელ ჭაველაშვილი და მ... რმან მანაგაძე ამეცადინებენ. ასე რომ, ცვლა გვეზრდება და 1978-79 წლებში დაბადებული 4-5 პერსპექტიული ახალგაზრდა წელსვე ჩაირიცხება „სიონში“, შემდეგ კი სხვების ჯერიც დადგება.



მერაბ ჯაფარიძე

**მამუკა კვანტალიანი**
ბოლნისი — თბილისი

„იუვენტუსის“ ქომაგები ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში შეუსვენებლად გაიძახოდნენ რობერტო ბაჯოს გვარს. ვარსკვლავს ერთი შეძახილიც არ გაუგია, ის გასახდელში იყო. ბოლო დროს „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში რობერტოს აღარ უთამაშია. გუნდთან უკანასკნელად 11 ივნისს ივარჯიშა, ისიც ფორმალურად. ძნელი სათქმელია, სავსე ტრიბუნების გუგუნმა „ბაჯო, ბაჯო“ გასახდელში ვერ ჩააღწია თუ... ალბათ, მაინც არ უნდოდა გაეგო, თორემ, აბა, დამწყები მოთამაშე ყოფილიყო, ვნახავდით, რასაც იტყოდა. რობერტო ბაჯომ გულცივად დასტოვა გუნდი, რომელშიც

BEAU (18) MONDE

## რობერტო ბაჯო

დაიბადა 1967 წლის 18 თებერვალს კოლდონიოში
სიმაღლე 174 სმ, წონა 72 კგ
კლუბები: „ლანეროსი“ (ვიჩენცა), „ფიორენტინა“, „იუვენტუსი“
მომავალი სეზონიდან „მილანში“ ითამაშებს.
მიღწევები: 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე, 1994 წლის მეორე პრიზიორი. 1993 წლის უეფას თასის მფლობელი, 1995 წლის იტალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი.



# ბრავო რობერტო, ბრავო ბერლუსკონი!

ხუთი საუკეთესო წელი გაატარა, სადაც უეფას თასიც მოიპოვა, იტალიის თასიც, ქვეყნის ჩემპიონობაც ანუ სკუდეტო და 1993-ში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა.

კონტრაქტს ვადა რომ გასდიოდა, მანაც იცოდა და „იუვეს“ ხელმძღვანელობამაც. მას ხმა არ ამოუღია, ასე სჯიდა, ახალ კონტრაქტზე ან სხვა გუნდში წასვლაზე რაიმე რომ ვთქვა, მყისვე იმისთანა ხარბის სახელს გამიგდებენ, რომელიც მაზანდის ასაწევად ხმაურს ტეხს, ამიტომ პირველი ნაბიჯი გუნდის მფლობელებმა გადადგანო. ამაოდ ელოდა თერთმეტი თვის მანძილზე. დღე დღეს მისდევდა, თამაში თამაშს, ახალ გარიგებაზე კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. აი, კიდევ რა: თურმე „იუვენტუსის“ მმართველი ბიუროკრატები ამ ხნის მანძილზე ფეხბურთელის ზურგსუკან „ინტერთან“ კვაჭავდნენ საქმეს. მოკლედ, რობერტოს აღარ ეკითხებოდნენ, ისე აგზავნიდნენ მილანის გუნდში. უკაცრავად, სჯობს ცკაფიოდ ვთქვათ, მილანში ხომ ორი გუნდია — „ინტერი“ და „მილანი“. ბაჯოს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ „ინტერისთვის“ ამზადებდნენ და არამცდაარამც „მილანისთვის“. ის კი არა, ოღონდ „მილანში“ არ მოხვედრილიყო და ვიზაც გინდა წაეყვანა. რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ „მილანი“ ყველა ძლიერისთვის სკუდეტოს მთავარი მოცილე იყო, არის და იქნება, რობერტო ბაჯო კი, თუ შინდ აღარ მოგწონდეს და გასაშვებად გემეტებოდეს, უდიდესი ფეხბურთელია. ერთიც ვნახოთ და, იმ „მილანში“ ძველებურად აიწყვიტოს?... „შემიძლია კაცს ვაპატიო, თუ გაცხარდება და შეურაცხყოფას მომაყენებს, მაგრამ გამიზნულ გაიძვერობას ვერ ვიტან“ — განაცხადა რობერტომ და „იუვენტუსს“ გაეყარა.

პრესას თემა მიეცა. სად წავა რობერტო ბაჯო. ალბათ, „მილანში“, იქნებ, ძველ გუნდში, „ფიორენტინაში“ დაბრუნდეს, რადგან იქაურმა პრეზიდენტმა ჩეკი გორიმ დიდი გუნდის შექმნა დაისახა მიზნად. არა, ბაჯო იაპონიას გაემგზავრება, საიდანაც ისეთ თანხებზე ელაპარაკებიან იტალიაშიც რომ ვერ გაიმეტებენ. მკითხაობა გრძელდებოდა, ფეხბურთელმა კი ცოლ-შვილს ხელი მოჰკიდა და აშშ-სა და არგენტინაში იმოგზაურა. ამბობენ, ისვენებდაო. „გაძეტა დელო სპორტმა“ დაწერა, ბაჯო იაპონიაშია და ახალ გუნდს ირჩევსო.

ბაჯო მოგზაურობიდან დაბრუნდა და „მილანში“ გადავიდა.

## ექს-პრემიერის ახდენილი ოცნება

ხარობს „მილანის“ მეპატრონე, იტალიის ყოფილი და კვლავაც თანამდებობისთვის მებრძოლი პრემიერ მინისტრი, მაგნატი სილვიო ბერლუსკონი. რახანია, დონ სილვიოს რობერტო ბაჯო თავისთვის უნდოდა. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ლამობდა ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მაშინ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ახლაც ეუბნებოდა მის მიერ კლუბის პრეზიდენტად დანიშნული ადრიანო გალიანი, 21 მილიარდი ლირა მეტისმეტად ძვირიაო. ბერლუსკონიმ მოსვენება დაკარგა და იმდენი ქნა, თავისას მიაღწია, თანაც 15 მილიარდად. დიახ, ექსპრემიერს ახლა გუნდში ზღაპრული ტრიო — ვეა-სავიჩევიჩ-ბაჯო ჰყავს. კაცი, რომლის ხილვაც თავის გუნდში სწყუროდა, ის კი თხუთმეტჯერ მის წინააღმდეგ გამოვიდა, როგორც იქნა, ხელში ჩაიგდო.

ხუთი წლის წინ? ფულს მომავალი პრემიერ-მინისტრი არც მაშინ იშურებდა. ბაჯო რომ გადაებირებინა, იდეალური დუეტი — ბაჯო — ვან ბასტენი ეყოლებოდა და ამიტომაც იყო, „ფიორენტინას“ სარეკორდო ტრანსფერზე (მაშინდელი სარეკორდო თანხა „ნაპოლიმ“ „ბარსელონას“ მარადონაში გადაუხადა) ორჯერ მეტს რომ სთავაზობდა. დონ სილვიო უძლური აღმოჩნდა. ჯერ ერთი, „ფიორენტინას“ მეპატრონეებს ძმებს პონტელოებს „იუვეს“ პრეზიდენტ ჯოვანი ანიელისთვის სიტყვა ჰქონდათ მიცემული, რომ ბერლუსკონის რობერტოს მიყიდვაზე მტკიცე უარს ეტყოდნენ, მეორე, თავად რობერტო იმხანად თავის მენეჯერს ანტონიო კალიენდოს ბრმად ენდობოდა და კალიენდომ ხელი რომ მოჰკიდა და „იუვენტუსში“ მიიყვანა, ფეხბურთელს, აქ რატომ მოვხვდითო, არც კი უკითხავს. ახლა სხვა დროა, რობერტო შეიცვალა. იგი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თავად იღებს, რაც შეეხება ანტონიო კალიენდოს...

## კალიენდო დააპატიმრეს

ამ კაცის როლი ბაჯოს ისტორიაში უდიდესია. ბაჯოების მთელი ოჯახი რობერტოს აგენტს თავის წევრად თვლიდა. მისი მეცადინეობით გადავიდა ყმაწვილი ფეხბურთელი „ვიჩენცადან“ „ფიორენტინაში“, შემდეგ კი „ბებერი ქალბატონის“ მოთამაშე გახდა. ბაჯო და კალიენდო განუყრელნი იყვნენ. როდესაც ფეხბურთელი საფრანგეთს სამკურნალოდ გაემგზავრა, მენეჯერი თან გაჰყვა და უახლოეს სასტუმროში დაიდო ბინა. კალიენდომ ნახა, რომ ვარსკვლავის შემოსავლით მთელი ოჯახი ხეირობდა, თავად კი, როგორც აღვნიშნეთ, ოჯახის წევრად ითვლებოდა. შთაგონებულმა ბიზნესმენმა ღონე და ეშმაკობა არ დაიშურა და „ფიორენტინას“ უფროსობას პროტეჟესთვის საოცრად დიდი შემოსავალი დაანიშვნინა. აგენტი ამას არ დასჯერდა მიდგა, მოდგა და რობერტოს მეტისმეტად სარფიანი სარეკლამო საქმიანობა გაუხერხა. რეკლამებიდან ასეთი შემოსავალი იმხანად თავად ფრანკო ბარეზის და ჯუზეპე ბერგომის არც კი დაესიზმრებოდათ. ტელევიზიით პროგრამა „კალჩომანიაში“ ყოველკვირეულ გამოსვლაში ბაჯო 10 მილიონ ლირას იღებდა, „დიადორამ“ კი მასში, როგორც საფეხბურთო ფენომენში, ნახევარი მილიონი დოლარი ჩადო. რობერტო რომ დაქორწინდა, ანტონიო კალიენდომ ნეფეს „მერსედეს 300“ აჩუქა. შემდეგ კი ცხოვრებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველაფერს აქვს დასასრული. აგენტსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა განელდა. მენეჯერმა სხვა ფეხბურთელების აღმოჩენაისურვა და ვარსკვლავისთვის ვეღარ იცლიდა. ნაპრალის ამოსავსებად კალიენდომ ახალი თანამშრომლების დაქირავება გადაწყვიტა. საეჭვოა, ამას საქმისთვის ეშველა, მაგრამ აქამდე არც მივიდა. მენეჯერი საგადასახადო ინსპექციამ დააპატიმრა. დღეს რობერტოს, თუმც მის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის, ანტონიო კალიენდოს სახელსაც ვერ წამოაცდენინებ.

## ცხრანახევარი

ვინ არის ბაჯო მოედანზე? ცნობილი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი, რომლის ხელმძღვანელობითაც „იუვენტუსმა“ მრავალი დიდი პრიზი მოიპოვა, მასზე ასე ამბობს: „როდესაც რობერტო ბურთს მიიღებს, იგი საუკეთესოა. მას ბურთით აბსოლუტურად ყველაფრის შესრულება შეუძლია. როგორც მოთამაშეს, მე მას პლატინისა და როსის შორის დავაყენებდი. მას, პლატინის დარად აქვს განვითარებული მოედნის ხედვა და შემოქმედებითი უნარი, ამასთან, გოლები ფორვარდივით გააქვს. გოლები პლატინისაც გაჰქონდა, მაგრამ ფრანგი არსით მაინც ნახევარმცველი იყო, ბაჯო კი, როსისა არ იყოს, უპირველესად, თავდამსხმელია.“

პლატინი და როსი ის იუვენტუსელები არიან, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება რომ მოიპოვეს. პაოლო როსიმ 1982 წელს ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა და კონტინენტის პირველი ფეხბურთელიც ამიტომ გახდა, გენიოსმა მიშელ პლატინიმ კი ზედიზედ სამი წელიწადი (1983, 1984, 1985), თამაშიდან თამაშამდე თვეების მანძილზე უმტკიცა მთელ ბებერ კონტინენტს, რომ მის ბრწყინვალებასთან ახლოს ვერავინ მოვიდოდა. ასე იყო 1993 წელს რობერტო ბაჯოც, მან იმ წელიწადს 15 თვის განმავლობაში ყველა რანგის შეხვედრაში საუცხოოდ ითამაშა და ტიტულიც მიიღო. მისი მაშინდელი თამაშის შემყურე, პლატინისავით სამჯერ წოდებამინიჭებული მარკო ვან ბასტენი აღფრთოვანებას ვერ მალავდა: „ბაჯო იმდენად ნიჭიერია, რომ თამაშის დროს მეტოქის გულშემატკივრებიც კი ვერ იკავებენ თავს და ტაშს უკრავენ. წლეულს მე რომ მომეწყო საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვა, რჩეულის დასასახელებლად თავის ატკივება სულაც არ დამჭირდებოდა, პრიზს პირდაპირ ბაჯოს გადავცემდი.“

„იუვენტუსში“ ბოლო ათ წელიწადში მაისური ნომერი ათი ორ დიდ ფეხბურთელს ეცვა — მიშელ პლატინის და რობერტო ბაჯოს. ამიტომაც მათ ხშირად ადარებენ ერთმანეთს. პლატინი ბაჯოსთვის ყოველთვის კერპი იყო, თუმცა ამ ბოლო დროს რობერტოს ამდენი შედარება აშკარად აღიზიანებს: „რა აზრი აქვს გაუთავებელ პარალელებს! მე უარს ვამბობ მასთან შედარებაზე. მე მქვია რობერტო ბაჯო და ფეხბურთს ოთხმოცდაათიან წლებში ვთამაშობ, პლატინი წარსულში იყო.“

ჟურნალისტები მაინც ვერ ისვენებენ. ისინი მალიმალ სთხოვენ ფრანგ სუპერვარსკვლავს ბაჯოს დახასიათებას. ვინ არის რობერტო ბაჯო, ნომერი ათი თუ ნომერი ცხრა, ნახევარმცველი თუ თავდამსხმელი? [illegible] — პასუხი [illegible] ცხრანახევარია.“

## მოლაღატე

ედი ბაჯოს, რობერტოს უმცროს ძმას ხუთი წლის წინანდელი ამბები გუშინდელივით ახსოვს. რობერტო „იუვენტუსში“ ახალმისული იყო „ფიორენტინადან“ ახალწასული. „ფიორენტინას“ ქომაგებმა ვერ მოინელეს ფეხბურთელის „ღალატი“. ის წავიდა და თან სად — მტრის ბანაკში. ბაჯოების ოჯახის დაცვას პოლიციის საგანგებო ჯგუფი დასჭირდა. მაშინ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდაო, იგონებს ხოლმე ვარსკვლავი. ედი კი იმხანად „ფიორენტინას“ იუნიორთა გუნდში ფეხბურთელის კარიერის დაწყებას ცდილობდა. საშინელი დრო იყო. „გახსოვთ, რობერტოს პირველი მატჩები „იუვეში“? — კითხულობს ედი — გოლს რომ გაიტანდა, მცირე ხნით ხელს აღმართავდა, თანაგუნდელები მიულოცავდნენ და შემდეგ თავჩახრილი ცენტრისკენ გარბოდა. თანდათან ვნებათაღელვა შენელდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. რობერტო ყოველი გოლის შემდეგ ხელგაშლილი გულშემატკივრებისკენ გარბის, მათთან ერთად ზეიმობს და თავდაღუნული აღარ გამორბის უკან.“ ბაჯომ კარგად იცოდა, რომ „ფიორენტინას“ და „ბებერ ქალბატონს“ ძველი მტრობა აქვთ, მაგრამ რა ექნა?! „იუვეში“ ყოველი წარმატებული გამოსვლის შემდეგ ძველი ქომაგებისაგან წერილების დასტას იღებდა, სადაც ათასგვარი ბრალდება ეწერა. ერთხელ „ფიორენტინას“ კარში პენალტის დარტყმაზე უარი თქვა, რასაც სკანდალი მოჰყვა. ახლა ყველაფერს შეეჩვია

## გზა ბუდასაკენ

სოფელი კოლდონიო, სადაც რობერტო ბაჯო დაიბადა, ვიჩენცასთან მდებარეობს. ბავშვობიდან ფეხბურთზე შეშლილი იგი დილიდან ქარხნის მიმდებარე ეზოში თამაშობდა. ეზო ნაქლიბი მეტალით იყო დაფარული, რის გამოც ბურთი ხშირად სკდებოდა. რობერტო ყურსაც არ შეიბერტყავდა, მყისვე მაღაზიაში გაქანდებოდა და ნისიად ახალს ყიდულობდა. საღამოს ქარხნიდან გამოსული ფლორიანო ბაჯოს კი ჯიბეზე ხელი უნდა გაეკრა და შვილის მორიგი ონავრობა ეზღო. რვა შვილი ჰყავდა სინიორ ბაჯოს. უმცროსს დიდი ბელგიელი ველოსიპედისტის ედი მერქსის პატივისცემით ედი დაარქვა. თავადაც ველოსიპედისტობდა ახალგაზრდობაში, 60 რეგიონალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და ველოსპორტი ოჯახში გაეფეტიშებინა. მიუხედავად ამისა, ფლორიანო და ოჯახის სხვა წევრები ბურთზე შერეკილი შვილის კარიერას ხელს არ უშლიდნენ. რვა წლის რობერტო კოლდონიოს ბავშვთა გუნდის ვარსკვლავი იყო. მას ყველა თამაშში რამდენიმე გოლი გაჰქონდა და ვიჩენცას „ლანეროსიში“ რომ მიიწვიეს არავის გაჰკვირვებია. 1985 წელს „რიმინის“ წინააღმდეგ შეხვედრაში რობერტო დაშავდა. ცხადია, მანამდე გოლი შეაგდო, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არაა. მუხლის იოგებ დაწყვეტილი შვილი მამამ საფრანგეთის ქალაქ სენტ-ეტიენში ნაცნობ ქირურგთან წაიყვანა, სადაც ადრე ასეთივე ტრავმა მის მეგობარ ველოსიპედისტს უმკურნალა. ექიმმა მომდევნო წლის თებერვლამდე ფეხის დასვენება ბრძანა.

„ტრავმამ ჭკუა მასწავლა — ამბობს ბაჯო — საავადმყოფოში გაგლეჯილი მუხლით წოლა ღრუბლებიდან დედამიწაზე გაბრუნებს. არ იცი, საერთოდ გეშველება თუ არა. ფიქრდები, ხელში რა შეგრჩა, ცხოვრებას სხვა თვალით უყურებ და რთული დროების დაძლევას სწავლობ. ვგრძნობდი, რომ რაღაც ღრმა, სერიოზული საყრდენი მჭირდებოდა. ბევრად უფრო სერიოზული, ვიდრე კათოლიკური რელიგიაა. სწორედ მაშინ გავხდი ბუდისტი, რაც დღეს საკუთარი თავის ფლობაში მეხმარება“...

პაპუნა კედია



ორი დიდი იუვენტუსელი:
მიშელ პლატინი და რობერტო ბაჯო



ვალენტინას მამა ძალიან უყვარს



ცოლ-შვილთან ერთად

# ნუთუ ესეც ფეხბურთია?

ცოტა უკაცრავად კი ვიქნებით სამხრეთამერიკული ფეხბურთის ქომაგებთან, მაგრამ ურუგვაიში მიმდინარე „კოპა ამერიკაზე" თუ რამაა ღირსშესანიშნავი, ულიმღამო ბურთის გორებაა.



ფაუსტინიო ასპრილია

### „ა" ჯგუფი

5.VII: ურუგვაი — ვენესუელა 4:1. 6.VII: პარაგვაი — მექსიკა 2:1. 9. VII: ურუგვაი — პარაგვაი 1:0; მექსიკა — ვენესუელა 3:1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| მექსიკა | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| პარაგვაი | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ვენესუელა | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

გახსნის მატჩში მასპინძლებმა ფონსეკას, ოტეროს, ფრანჩესკოლისა და პოიეტის გოლებით მაგრად დაამარცხეს სამხრეთი ამერიკის უკანასკნელი მაჩანჩალა ვენესუელა. როგორც მერე გაირკვა, ეს თამაში კიდეც სჯობნებია მეორე დღეს მალდონადოში, ცივ ამინდში გამართულ პარაგვაი — მექსიკის შერკინებას, მხოლოდ 6 ათასი მაყურებელი რომ მიიზიდა.



ენცო ფრანჩესკოლი

შესვენებამდე ორად ორი რამ მოხდა: პირველად პარაგვაელი ხოსე კარდოსოს დარტყმა მოიგერია მექსიკის მეკარე ხორხე კამპოსმა, მერე კი მექსიკელ ხორხე როდრიგესს დაუფასდა თავგამოდება, ლამის იყო კარის ხაზს იქით გადასული ბურთი მოედანზე რომ დააბრუნა — ლუის გარსიამ ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმში მარცხნიდან კარის გასწვრივ დარტყმულ ბურთს ქუსლით ბადეში მიუჩინა ადგილი კარდოსომ, 75-ე წუთზე კი ადრიანო სავანიეგომ წინ გამოსულ კამპოსს მშვენიერი გოლი გაუტანა.

მასპინძლებმა მეორე ტურშიც მოიგეს და მეოთხედფინალში მონაწილეობა დაიბევეს. პარაგვაელებს ერთადერთი გოლი მე-14 წუთზე გაუტანა ენცო ფრანჩესკოლიმ.

### „ბ" ჯგუფი

7.VII: კოლუმბია — პერუ 1:1; ბრაზილია — ეკვადორი 1:0.

პირველმა მატჩმა ივარგა. ანგარიში კოლუმბიელმა ფაუსტინიო ასპრილიამ საჯარიმოდან ხვეული დარტყმით გახსნა. მე-80 წუთზე კი რობერტო პალაციომ 22 მეტრიდან აღადგინა წონასწორობა. სამაგიეროდ, ბრაზილიამ ყველა გააწბილა, იმდენად არასერიოზულად მოეკიდა ეკვადორთან თამაშს. კარში ყოჩაღად იდგა ამ გუნდის მეკარე კარლოს მორალესი. მან ედმონდოს დარტყმული პენალტიც კი მოიგერია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკვადორელებს უხეში თამაშისთვის ხუან გომანო გაუძევეს, გუნდი გატყდა და კუთხურიდან მოწოდებული ბურთი რობერტო კარლოსს თავით გაატანინა.

### „გ" ჯგუფი

8.VII: აშშ — ჩილე 2:1; არგენტინა — ბოლივია 2:1

ამჯგუფელები არგენტინის მოსაზღვრე ქალაქ პაისანდუში ასპარეზობენ. ჰოდა, შაბათს 20 ათასი არგენტინელი გადავიდა საზღვარს მიღმა თავისიანთა საქომაგოდ.

მეორე ნახევრის 26-ე წუთზე ბატისტუტამ მარჯვედ დაარტყა მეტოქის საჯარიმოში უპატრონოდ დარჩენილ ბურთს, მერე ბოლივიელებმა მახვილი კუთხიდან გაქვითეს ანგარიში, მაგრამ 36-ე წუთზე აბელ ბალბომ არგენტინა საბოლოოდ დააწინაურა. მანამდე ამერიკელმა ერიკ ვინალდამ ორი გოლი შეუგდო ჩილეს: პირველად ჩამოწოდებული ბურთი მიიღო და მეტოქეები გააცურა, მეორედ კი გადასარევად დაარტყა საჯარიმო. მეორე ტაიმში სებასტიან როზენტალმა სხვაობა შეამცირა, მაგრამ მეტოქის უკნიდან მოცელვისათვის ჩილეს ხავიერ ვარგასი გაუძევეს და გუნდიც მარცხს შეურიგდა.

ზაზა ფხაკაძე

## რუსეთი

XV ტური, 8 ივლისი. ურალმაში — როსტსელმაში 2:0, კრილია სოვეტოვი — სპარტაკი (მ) 1:6, ლოკომოტივი (მ) — ცსკა 0:1, ჟემჩუჟინა — კამაზი 4:2, როტორი — დინამო-გაზოვიკი 5:4, ლოკომოტივი (ნ.ნ) — ტორპედო 2:3, ჩერნომორეცი — ტექსტილშჩიკი 2:0

### დინამო 1:2 სპარტაკ-ალანია

დინამო (მოსკოვი): სმეტანინი, იახიმოვიჩი, კოვტუნი, კოლოტოვკინი, საბიტოვი, კობელევი, სამატოვი, ჩერიშევი, ნეკრასოვი, პოდპალი (საფრონოვი 70), ტერიოხინი

სპარტაკი (ვლადიკავკაზი): ხაპოვი, ჯიოევი, დერკაჩი (სულეიმანოვი 46) შელია, ტიმოფეევი, თეთრაძე, თედეევი, იანოვსკი, კასიმოვი, კანიშჩევი, დატდეევი

1:0 საბიტოვი (19), 1:1 თედეევი (59), 1:2 კასიმოვი (77)

პირველი წრის ბოლო მატჩი ფინალურის დარი იყო — ვლადიკავკაზელები ერთპიროვნულად ლიდერობდნენ, მოსკოვის დინამოელები კი წაგების შემთხვევაში ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსს ფაქტიურად კარგავდნენ. გარდა ამისა, გაზაევი, ტიმოფეევი, და დერკაჩი მოსკოვის „დინამოდან" განაწყენებულნი წამოვიდნენ, ბესკოვ-თეთრაძის კულისებს მიღმა „გაწევ-გამოწევა" კი გეხსომებათ, საქვეყნოდ გახმაურდა. ერთი სიტყვით, მატჩი მრავალმხრივ საინტრიგო გახლდათ.

„დინამომ" უძლიერესი შემადგენლობით დაიწყო მატჩი, „სპარტაკ-ალანიას" კი აკლდა ყაველაშვილი, რევიშვილი და სულეიმანოვი. ამასთან გერმანიიდან დაბრუნებულ ოლიმპიურ ჩემპიონ გორლუკოვიჩის რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგა მინდორზე გასვლის ნებას არ აძლევს.

პირველ ტაიმში მოსკოველთა უპირატესობა აშკარა იყო, ტერიოხინი, ნეკრასოვი და ჩერიშევი გამუდმებით აწიოკებდნენ კავკასიელთა დაცვას, ძირითადად მარცხნიდან უტევდნენ, რაკილა „სპარტაკის" მარჯვენა ფრთის კონტროლი ჯიოევს ჰქონდა მინდობილი, ეს კი უფრო შემქმნელია, ვიდრე ჩამშლელი. შელია დაცვას მარცხენა და ცენტრალურ ზონებს აკონტროლებდა და ჩვეული ჟინითა და აზარტით მებრძოლმა, ერთი-ორი მომენტის გარდა, უშეცდომოდ და საიმედოდ ითამაშა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მოსკოველთა აქტიურობა გოლად გარდაისახა: საბიტოვმა, ისევ მარცხენა ფრთაზე უჩვეულოდ ლამაზად და ეფექტურად ითამაშა: ბურთიანად ორმოცი მეტრი იარა, საჯარიმოს მისადგომებთან ცრუმოძრაობით კანიშჩევი და დატდეევი დაატაკა ერთმანეთს, საჯარიმოში — თეთრაძე და ტიმოფეევი დაა მარცხენა ფეხით ხუთიოდ მეტრიდან ხაპოვს აულებელი ბურთი გაუტანა. ამან სტუმრებზე დოპინგივით იმოქმედა და მათი შეჩერება შეუძლებელი შეიქნა — ჯერ მეორე ტაიმში გამოსულმა სულეიმანოვმა შემოტრიალებით დაარტყა და, სმეტანინის კარის ცხრიანს სანტიმეტრებით ააცილა ბურთი, მერე კი ჯიოევმა იჭრა მეორი: მარჯვენა ფლანგზე ტექნიკურად შემოტყუა მოსკოველი მცველი და საჯარიმოში ზუსტი ... თედეევს მიაწოდა, ამანაც, თითქმის მიწაზე გაწოლილმა, თავით შეაგდო.

„სპარტაკი" შეტევებს მიეძალა და მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე მანამდე „ჩრდილში მდგარმა" მირჯალოლ კასიმოვმა თედეევის პასით გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. „სპარტაკის" ეს ზედიზედ მერვე მოგება რუსეთისთვის აქამდე არნახული შედეგია და რაკილა „ლოკომოტივიც" შინ დამარცხდა, „სპარტაკ-ალანიამ" პირველი წრის შემდეგ მდევრები 11 ქულით ჩამოიტოვა.



ბახვა თედეევი

ამასობაში კვლავ ათამაშდა აწ უკვე მეორე, რუსთა „სპარტაკი", აქამდე რომ სულ პირველი იყო. „სამარაში" „კრილია სოვეტოვის" განადგურებით მოკოველებმა ყველას მიანიშნეს, ჩვენი „ჩამოწერა" ჯერ ადრეა, წინ კიდევ თხუთმეტი ტური გვიძევსო...

მამუკა კვარაცხელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიკავკაზი | 15 | 13 | 0 | 2 | 36-11 | 39 |
| დინამო (მ) | 15 | 8 | 4 | 3 | 22-15 | 28 |
| ლოკომოტივი | 15 | 8 | 4 | 3 | 21-14 | 28 |
| ტორპედო | 15 | 8 | 4 | 3 | 21-16 | 28 |
| სპარტაკი | 15 | 8 | 3 | 4 | 34-19 | 27 |
| როტორი | 15 | 7 | 2 | 6 | 31-23 | 23 |
| ცსკა | 15 | 6 | 3 | 6 | 26-22 | 21 |
| ურალმაში | 15 | 6 | 2 | 7 | 20-23 | 20 |
| ტექსტილშჩიკი | 15 | 5 | 5 | 5 | 18-15 | 20 |
| ჩერნომორეცი | 15 | 6 | 1 | 8 | 17-22 | 19 |
| კამაზი | 15 | 5 | 4 | 6 | 17-18 | 19 |
| ჟემჩუჟინა | 15 | 5 | 3 | 7 | 20-30 | 18 |
| ნ. ნოვგოროდი | 15 | 2 | 7 | 6 | 12-19 | 13 |
| კრ. სოვეტოვი | 15 | 2 | 6 | 7 | 14-27 | 12 |
| გაზოვიკი | 15 | 2 | 3 | 10 | 17-33 | 9 |
| როსტსელმაში | 15 | 2 | 3 | 10 | 15-34 | 9 |

## კრუიფი დიდ აღმშენებლობაშია

რომარიოს, კუმანის და სხვათა ნიჭს პლუს იოჰან კრუიფის ინტელექტი და შემოქმედის ალღო, დიქტატორობამდე მისული სიმკაცრე, კლუბის პრეზიდენტის ხოსე ლუის ნუნიესის ფულები, „ნოუ კამპის" დიდებული სტადიონი, კატალონიელი გულშემატკივარი და მათი ლოზუნგი „კატალონია ესპანეთი არ არის"... ეს ბოლო წლებში ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ბარსელონაა".

რა დარჩა დღეს ამ დიდი გუნდიდან? უპირველესად, კრუიფი, რომელსაც ახალი გუნდის შექმნა დაუსახავს მიზნად და ამით საკუთარ თავს დიდ გამოცდას უწყობს. მას მერე, რაც რომარიო გაუშვა, კრუიფი გამალებით ეძებდა ახალ ფორვარდს და სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადში" ბოსნიელ მეჰო კოდროს მიაგნო. რონალდ კუმანმა მომავალი სეზონისთვის „ფეინოორდს" დაუდო ხელშეკრულება, რის გამოც „დიქტატორმა" წელს იგი სათადარიგოთა სკამზე დასვა. მის შემცვლელად „ბარსაში" რუმინელი გეორგე პოპესკუ მოვა. ლისაბონის „სპორტინგიდან" კატალონიის კლუბს ლუის ფიგუ შეემატა. სათადარიგოთა სკამზე დააბრძანეს ამბიციური ხრისტო სტოიჩკოვიც, რომელმაც ცოტა ხნის წინ „პარმას" მიაშურა. კრუიფმა ჰაჯისა და კორნეევსაც ამრეზით დაუწყო ცქერა, სამაგიეროდ, მეორე გუნდიდან გამოუცდელი ახალგაზრდები ოსკარ არპონი და როჯერ გარსია ალაზევა. შედეგი: სეზონის მიწურულს იყო პერიოდი, როდესაც გუნდმა ცხრა თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო. კრუიფი კრიტიკის ობიექტად იქცა. თავად კლუბის პრეზიდენტმა ნუნიესმა აიჩეჩა მხრები: „ვერ გამიგია, როგორ ვახერხებთ, რომ გუნდში უამრავი უცხოელი გვყავს, მოედანზე კი ერთიც არ არის."

დიდი ამბავი ატყდა 19 წლის ნახევარმცველის ივან ლა პენიას თაობაზე. მოთამაშემ, რომელმაც ყატარში ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მშვენივრად ითამაშა და კრუიფმა მეორე გუნდიდან მთავარში გადაყვანის პერსპექტივაზეც ჩამოუგდო სიტყვა, მადრიდის „რეალისგან", „ატლეტიკოსგან", „ვალენსიასგან" და ხიხონის „სპორტინგისგან" ისეთი სარფიანი შეთავაზებანი მიიღო, ლამის თავბრუ დაესხა. ამის გამგონე დიქტატორმა შეგონების ყველა ხერხს მიმართა, ცალკე ყმაწვილს ელაპარაკა, ცალკე — მის მშობლებს, საქმე ფეხბურთელის აგენტთანაც გაარჩია და ყველა დაარწმუნა, რომ ივანისთვის ჯერ სწავლაა უპრიანი, ფული კი მოგვიანებითაც მოვა. ლა პენია, რომელიც მშობლიური სანტანდერიდან ბარსელონაში 15 წლისა გადავიდა, დათანხმდა მწვრთნელს და ხუთი წლით მცირე შემოსავალსაც დასჯერდა. უფრო სწორად, ოფიციალურად იმდენსავე მიიღებს, რამდენსაც მისი თანატოლები, თუმცა აქ სხვა პრობლემა გამოტყვრა — ივანს ჯარში გაწვევა უწევს და როგორ გადაწყდება მისი საქმე, ჯერ უცნობია.



იოჰან კრუიფი

პაპუნა კედია

ინტერტოტოს თასის მონაწილეებმა 8-9 ივლისს მესამე ტური გამართეს. I ჯგუფი. ბაზელი (შვეიცარია) — კარლსრუე (გერმანია) 2:3, შეფილდი (ინგლისი) — გურნიკი (პოლონეთი) 3:2; II. კიოლნი (გერმანია) — ლუცერნი (შვეიცარია) 2:2, ოსტერსი (შვედეთი) — რუდარი (სლოვენია) 3:3; III. ჰაფნარი (ფარერები) — ეკერენი (ბელგია) 1:1, უნივერსიტატია (რუმინეთი) — ტრომსო (ნორვეგია) 0:1; IV. ბეკეშჩაბა (უნგრეთი) — ტონ პეტრი (უელსი) 4:0, უნიაუ (პორტუგალია) — ნესტვედი (დანია) 1:1; V. ბოჰემიანი (ირლანდია) — ბორდო (საფრანგეთი) 0:1, ოდენსე (დანია) — ჰელსინკი (ფინეთი) 2:1; VI. მეცი (საფრანგეთი) — პარტიკ თისლი (შოტლანდია) 1:0, კეფლავიკი (ისლანდია) — ზაგრები (ხორვატია) 0:0; VII. ტერვისი (ესტონეთი) — ლევერკუზენი (გერმანია) 1:6, ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ნეა სალამინა (კვიპროსი) 1:1; VIII. კანი (საფრანგეთი) — ფარული (რუმინეთი) 0:0, პოგონი (პოლონეთი) — დნეპრი (ბელარუსი) 3:3; IX. ბობი (ჩეხეთი) — ბევერენი (ბელგია) 3:2, გრონინგენი (ჰოლანდია) — ეტარი (ბულგარეთი) 3:0; X. შარლერუა (ბელგია) — ბურსასფორი (თურქეთი) 0:2, ბეითარი (ისრაელი) — კოშიცე (სლოვაკეთი) 3:5; XI. ფლორიანა (მალტა) — სტრასბური (საფრანგეთი) 0:4, ინსბრუკი (ავსტრია) — ჰაპოელი (ისრაელი) 2:0 XII. აინტრახტი (გერმანია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 5:1, სპარტაკი (ბულგარეთი) — პანერისი (ლიტვა) 3:0

## ფეხბურთის რუკასთან



ვიეტნამში პროფესიული ფეხბურთი არ არსებობს, ამ ქვეყნის ჩემპიონატში მხოლოდ მოყვარულები გამოდიან, მაგრამ ეს თურმე ბევრს არაფერს ნიშნავს. მექრთამეობისა და თამაშების ყიდვა-გაყიდვაში აქაური მოყვარულებიც ძალიან გამეცადინებულან. სხვის საქმეებში ცხვირის ჩამყოფმა ორგანოებმა გამოჩხრიკეს, რომ ერთ-ერთი თამაშის ბედი 4 ათას დოლარს გადაუწყვეტია. გამოვლინდა ხუთი კლუბი, რომლებიც სხვებზე მეტად ეტანებიან აღებ-მიცემობას და ერთმანეთთან შეკრულნი რაღაც კომბინაციებს ხლართავენ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ პრინციპულობა გამოიჩინა და ჩემპიონსა და თასის მფლობელს აზიის ჩემპიონთა და თასების თასზე გასვლის უფლება არ მისცა.

ბულგარეთის ნაკრების მცველი, მუდამ გაუპარსავი ტრიფონ ივანოვი სოფიის ცსკა-დან ვენის „რაპიდში" გადავიდა.

საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი დავიდ ჟინოლა, როგორც მოგეხსენებათ, „პარი სენ ჟერმენიდან" „ნიუკასლ იუნაიტედში" გადავიდა. ისიც ცნობილი იყო, რომ ინგლისის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გასულმა „ნიუკასლ იუნაიტედმა" ფრანგ თავდამსხმელში ოთხი მილიონი დოლარი გადაიხადა. ამ ინფორმაციას ახლა ის დაემატა, რომ კონტრაქტი ოთხწლიანი ყოფილა.

კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხუან ხორხე ბელინი ქვეყნის მთავრობაზე განაწყენდა და გადადგა. ბელინის განაწყენების საბაბი ის ყოფილა, რომ მთავრობის მავან მოხელეებს მისთვის უთქვამთ, შენ მედელინის ნარკოკარტელის წევრი ხარო, რაც პრეზიდენტს უდიდეს შეურაცხყოფად მიუღია.

ინგლისში კორუფციასთან დაკავშირებით დიდი სკანდალია. როგორც ცნობილია, ამ საქმეში ხუთი ეჭვმიტანილია, რომელთა შორის არის „ასტონ ვილას" მოთამაშე ჯონ ფაშანუ. ბოლო დროს ფაშანუ დაიჭირეს კიდეც. დაჭერის მოტივი გამოძიებისთვის შეგნებულად ხელის შეშლა იყო. ფაშანუს დაკითხვა 29 საათს გრძელდებოდა, რაც საბოლოოდ მისი თავდებით გაშვებით დამთავრდა. გაშვების პირობა ის არის, რომ ფაშანუ ერთი კვირის მერე ხელახალ დაკითხვაზე უნდა გამოცხადდეს. ამასობაში, მასთან ერთად საქმეში გასულ ქალს მელისა კაზამაფსს, რომელსაც სააგენტოები ადრე ფაშანუს საყვარლად ნათლავდნენ, ახლა ცოლი უწოდეს. როგორც ჩანს, ფაშანუმ და კაზამაფსმა იქორწინეს.

იუგოსლავიას ევროთასებზე მონაწილეობის ნება დართეს. ამრიგად, მომავალ გათამაშებაში „ცრვენა ზვეზდა" მიიღებს მონაწილეობას, თასების თასზე კი გამოვა „ობლიცი", რომელიც წლეულს იუგოსლავიის თასის ფინალში გავიდა და იქ „ცრვენასთან" 0:4 წააგო.



**გია ჯაფარიძე** ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის „ძველი ნაცნობია" — სწორედ იგია უანგარო ავტორი „სარბიელის" ორი პრიზისა: ბრინჯაოს ფეხბურთელის ფიგურა, რომლითაც ყოველწლიურად ჯილდოვდება საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი, უკვე მესამედ დაგვიმზადა. არც ძველი სიყვარული — რაგბი დავიწყნია და წლეულს თითბრის ბრწყინვალე სინჯც გამოგვიჭედა, აგერ უკვე მესამედ რომ დაიცვა „გუმარმა". წელს, 5 მაისს ბატონი გია 50 წლის გახდა. თავის დროზე სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და თბილისის „ლოკომოტივის" მორაგბეთა გუნდშიც თამაშობდა. ოცდახუთ წელზე მეტია, ქანდაკებას ემსახურება და სამშობლოს გარდა უმოღვაწნია რუსეთში, უნგრეთში, შვედეთში და შვეიცარიაში, შარშან კი ორჯერ გერმანიაშიც მოაწყო გამოფენა. წელს თბილისში პერსონალური გამოფენის გახსნას აპირებს. 1976 წელს ნოვოროსიისკში „პოსეიდონის" ძეგლი დადგა, 1978-ში — იტალიაში — „სიცოცხლის ხე" 1980 — მოსკოვში — კომპოზიცია „რაშები", 1981 — პოლანდიაში, ტექსელზე, „მშვიდობა ბავშვებს" 1989 — ატლანტა — „მშვიდობის ხე". წელს „თბილისური გაზაფხულის" თერთმეტი რჩეულის პრიზებიც დაამზადა. თუ თბილისის პირველი [illegible]ოლის განახლებული შენობის სახურავს დააკვირდებით, მოოქროვილ სფეროზე დაყრდნობილ აკაშკაშებულ ბუნიკებს შეამჩნევთ — [illegible] ესეც გია ჯაფარიძის ნახელავია. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ვეტერან მორაგბესთან და შემოქმედთან არც ნახევარსაუკუნოვანი იუბილის ბრალია და არც მისი ნამუშევრებისა, თუმცა საგანგებო ყურადღებას, ცხადია, ორივე იმსახურებს. გია ჯაფარიძე ახლახანს დაბრუნდა სამხრეთი აფრიკიდან, სადაც მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმი გაიმართა და იქაც „თავისი სიტყვა თქვა" — მის მიერ აქ დამზადებულმა და იქ საჩუქრად ჩატანილმა ბრინჯაოს კომპოზიციამ, მორაგბეთა შერკინებას რომ ასახავს, სადმე კი არა, თვით მსოფლიო თასის გვერდით ჰპოვა ადგილი. დღევანდელი საუბარიც მთლიანად მის სამხრეთაფრიკულ შთაბეჭდილებებს ეხება...



# სამოთხეს ვიყავ...

— სამხრეთ აფრიკას 17 ივნისს გავემგზავრეთ მე, საქართველოს საშვიდკაცო ნაკრების მწვრთნელი გურამ მოდებაძე, რაგბის კავშირის გენერალური მდივანი გია კუბლაშვილი, სპორტკომიტეტის თანამშრომელი თენგიზ რუხაძე და ბირჟის თანამშრომელი დავით კლდიაშვილი. როგორც კი მორაგბეთა მსოფლიო თასზე ჩემი გამგზავრების ამბავი შევიტყვე, დამებადა, იდეა, შემექმნა რაიმე კომპოზიცია და მასპინძელი ქვეყნის რაგბის კავშირისთვის გადამეცა. მთავარი იყო, დროში ჩავტეულიყავი და კომპოზიციის ჩამოსხმა მომესწრო. საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და პრიზით ხელდამშვენებულნი გავემგზავრეთ ჩემპიონატზე, იმვარაუდით, რომ მესამე ადგილისთვის მატჩს და ფინალს ჩავუსწრებდით...

**— სანამ უშუალოდ ჩემპიონატზე და ლომუზე შეგეკითხებოდეთ, ამ ქვეყანასა და მის ხალხზე გვითხარით ორიოდ სიტყვა...**

— სამხრეთ აფრიკა ამერიკული ყაიდის ქვეყანაა, თუმცა ევროპას ვერ შეედრება ძირითადად ორსართულიანი სახლებია, ამიტომ ქალაქებს ერთობ მოზრდილი ფართი უკავიათ. ჰოლანდიელთა ჩამომავალ ბურებზე მართლაც საგანგებოდ ღირს შეჩერება. ყველანი მაღალი, ჯანმაგარი ჯეელები არიან და ფერმერობას მისდევენ სხვათა შორის, ჩემდა გასაკვირად, ვისაც კი შევეკითხე საქართველოს შესახებ, ყველამ მიპასუხა, ვიცით ეგ ქვეყანა, ადრე საბჭოთა კავშირში შედიოდა და ახლა თავისუფალიაო.

**— „რასიზმის გამოვლინების ფაქტები" ცხადია, აღარ გინახავთ...**

— იქ, სადაც ვბინადრობდით, მსგავსს არაფერს წავწყდომივარ. ისე როგორც შევატყვე, თეთრებმა თავისი საქმე ჩინებულად იციან და მანდელაც იმიტომ აირჩიეს, 70 წლის მოხუცია, ნახევარი ცხოვრება ციხეში გაუტარებია და, ფაქტიურად, ბევრს ვერაფერს შეცვლისო.

**— იოჰანესბურგში ყბადაღებულ დამნაშავეობას ხომ არ დაუზაფრიხართ?**

— კი გაგვაფრთხილეს, ზანგთა გეტოებში არ შეხვიდეთ ღამ-ღამობითო, მაგრამ თავად არ გამოგვიმჟღავნებია ამის დიდი სურვილი. ერთმა რუსმა ჟურნალისტმა კი გარისკა, ვიდეოკამერით ძალზე „შორს შეტოპა" და მკაცრადაც დაისაჯა: ზანგებმა პირწმინდად გაძარცვეს, კამერაც წაართვეს, ფულიც, ტანსაცმელიც, კარგადაც მიბეგვეს და სიკვდილსაც ძლივს გადაურჩა. არადა, რუსებმა ჩინებულად უთაოსნეს მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლას — 4000 დოლარად მთელი თვე დაასვენეს ტურისტები, მატჩებზეც დაჰყავდათ და ექსკურსიებზეც.

**— ახლა უშუალოდ ჩემპიონატზე...**

— ნახევარფინალში ნაღდად ღირსეულნი გავიდნენ. ფრანგებმაც ჩინებული, ტექნიკური რაგბი ითამაშეს და დამსახურებულადაც მოიპოვეს მესამე ადგილი. მათმა თამაშმა უდიდესი სიამოვნება მომგვარა. ინგლისელებმა კი მაქსიმუმს მიაღწიეს.

ფინალი ენით აუწერელი სანახაობა გახლდათ. სამი საათით ადრე 75 ათასმა კაცმა სტადიონი აავსო. ყველაფერში იგრძნობოდა წესრიგი, კანონის პატივისცემა. ტაბლოზე მეტოქეთა ნათამაშები წინა მატჩების ფრაგმენტებს უჩვენებდნენ. სტადიონის თავზე ზედიზედ გადაიფრინეს თვითმფრინავებმა და საოცარი პირუეტები შეასრულეს, ბოლოს კი გიგანტურმა ბოინგ 747-მა გადაიფრინა, თანაც ისე დაბლა, ვიფიქრე, სტადიონის სახურავს შეეხება-მეთქი. ჩვენი დელეგაცია საუკეთესო ადგილებზე იჯდა...

ზელანდიელებს ეგონათ, თავი ქუდში გვაქვსო, არ ელოდნენ, ფინალს თუ წააგებდნენ, ამიტომ ზედმეტად თავდაჯერებულნი გამოვიდნენ. მასპინძლები კი მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებისა არც კი სჯეროდათ, მეტად სერიოზულად მოემზადნენ ფინალისთვის.

ზელანდიელთა ფაქტობრივად ერთფეროვან ტაქტიკას — ლომუზე თამაშს მთელი გუნდი დაუპირისპირდა, ყველანი ერთ მუშტად იყვნენ შეკრულნი, მოკლედ, ვაჟკაცურადაც მოიგეს. არც ის იყო შემთხვევითი, ლომუს წამდაუწუმ რომ ბოჭავდნენ მასზე გაცილებით მსუბუქი, ჯანით სუსტი ფანდერვესტპოიზენი და მულდერი. ლომუ არ ელოდა ამგვარ ტოტალურ ომს მის წინააღმდეგ, დაიბნა, მის გუნდს კი არ აღმოაჩნდა სხვა ტაქტიკური ჩანაფიქრი, ყოველ შემთხვევაში, ფინალში არ გამოუყენებია. სამხრეთაფრიკელები ფორმის პიკზე შეხვდნენ ფინალს, ზელანდიელები — ვერა.

**— ლომუ ალბათ იმსახურებს იმას, რომ მასზე საგანგებოდ შეჩერდეთ.**

— რა თქმა უნდა. ფინალის წინ ქალაქის თავზე ვერტმფრენი დაფრინავდა პლაკატით: „ვინ დაიჭერს ლომუს?" ეს ოცი წლის ბიჭი ნამდვილი ფენომენია. ერთი შეხედვით, დევივით ჯანიანია, მაგრამ ვისაც რაგბი უთამაშია, მყისვე შენიშნავს მის რალაცნაირ სირბილს, პლასტიკას. იგი მორაგბედაა დაბადებული. სიმაღლეც და წონაც — 196 სანტიმეტრი, 117 კილოგრამი — იდეალური აქვს. ლომუს ყველაფერი წინ აქვს, იგი ახლა უნდა გაიზარდოს, ტაქტიკურად და ტექნიკურად რომ მოუმატებს, მისი შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. არასოდეს დამავიწყდება, მასზე არანაკლებ ჯანიან ინგლისელ ქარლინგს რომ დაეტაკა. საბრალო ქარლინგი ხუთი წუთი გონს ვერ მოვიდა, უფრო კი გაოგნებისგან — ეს რა საშინელებააო. მის სახეს ახლო პლანით გვაჩვენებდნენ და არაერთმა გაზეთმაც დაბეჭდა მისი ფოტო. ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის, ლომუ ნამდვილი აღმოჩენაა.

**— ლომუს გარდა, სხვამ ვინ დატოვა ყველაზე კარგი შთაბეჭდილება?**

— სპეციალისტთა და ჟურნალისტთა საერთო აღიარებით, ფანდერვესტპოიზენ—სტრანსკის დუეტი იდეალური ჩანდა. მე უყოყმანოდ ვეთანხმები ამ აზრს. ორივე მართლაც ჩინებული მცოდნე და ოსტატია თავისი საქმისა.

**— კიდევ რით გამოარჩევდით მესამე მსოფლიოს ჩემპიონატს?**

— ბევრით — ორგანიზაციით, საზეიმო განწყობით აღსავსე მაყურებლით, ფანტასტიური ოსტატობით, თამაშის დინამიურობით და, რაც ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია — სწორი, ობიექტური მსაჯობით. არბიტრები მინდორზე ყველაზე ნაკლებშესამჩნევნი იყვნენ, ისინი ათამაშებდნენ გუნდებს ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მათი მსაჯობის შემყურე მივხვდი, რატომაა გარკვეულწილად მოსაწყენი ჩვენში რაგბის ყურება. ჩვენი მსაჯები ხომ წამდაუწუმ სტვენენ, ეს კი თამაშს დინამიურობას უკარგავს, ტემპს ანელებს, გუნდებს აზარტიც ეკარგებათ. მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯების ხელოვნება ჩვენი მსაჯებისთვის მისაბაძი უნდა გახდეს.

**— ამ ორი კვირის მანძილზე კურიოზებიც შეგემთხვეოდათ...**

— სამხრეთ აფრიკაში კურიოზს ვერ ვახსენებ, აი, თურქეთში, ტრანზიტად მიმავლები კი მართლაც კურიოზულ შარში გავეხვიეთ. ტრაპიზონში პოლიციამ კონტრაბანდისტობა დაგვაბრალა, ჩემს კომპოზიციაზე მიმითითა, გინდა თუ არა, ხელოვნების ნიმუშია და გასაყიდად მიგაქვსო. რა საბუთი არ ვაჩვენე, არაფერმა გაჭრა, საპატიმროში გვიკრეს თავი, ძლივს გადავრჩით...

**— ქართველებმა ოთხი-ხუთი წლის წინ სამხრეთი აფრიკა სამოთხედ იგულეს. ბევრი წავიდა კიდეც. თუ შეხვდით იქ თვისტომებს?**

— თხუთმეტიოდე კაცი შევგხვდა, კარგი პატივი გვცეს, ერთ-ერთს იქ რესტორანიც გაუხსნია. ძირითადად, ხელოვანი ხალხია წასული, გამოცა და გამახარა მათმა შრომისმოყვარეობამ, ამ ბიჭებს, გადაწყვეტილი აქვთ, საკუთარი ოფლით მოიპოვონ ლუკმა-პური.

**— თქვენი კომპოზიციის გადაცემა როგორ მოხდა?**

— პრიზი საზეიმო ბანკეტზე გადასცა ჩვენი რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა გია კუბლაშვილმა და ჩემზე უკეთ ამ ამბავს ის მოგახსენებთ.

გია კუბლაშვილი: ფინალის წინ ისეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ მასპინძლები წაგებაზეც ყაბულს იყვნენ. გამარჯვებამ ლამის ჭკუას გადაასცდინა ისინი, ჩვენც გაგვიიოლდა საქმე, გამარჯვებულს პრიზი უფრო იოლად გადაეცემოდა. სანამ უშუალოდ პრიზის გადაცემის ამბავს მოგითხრობდეთ, იმას გეტყვით, როგორ მოხერხდა ჩვენი საზეიმო ბანკეტზე დაშვება და პრიზის შეტანა. სტამბოლში სამხრეთ აფრიკის საკონსულოში ვიზებს რომ ვამოწმებდით, შემთხვევით კონსულმა ანდრე პელზერმა შემოიხედა, ჩვენი ვინაობა რომ გაიგო, სიხარულისგან გადაირია, მეც ძველი მორაგბე ვარ დიუპლესთან ერთად ვბურთაობდიო. აგვავსო საჩუქრებით, თურმე სტამბოლში ღვინის მოყვარულთა კლუბი ჰქონია და როცა ჩვენი ქართული ღვინოები ვუფეშქაშეთ, სიხარულით ცას ეწია, ბოთლებს კოცნიდა, ამ ხნის კაცი ვარ, ასეთი ღვინო არსად დამილევიაო. კაბინეტშივე გადაგვიწყვიტა ყველა პრობლემა სამხრეთ აფრიკაში.

რაგბში წესია — „მესამე ტაიმზე" ოთხივე ფინალისტს პატიჟობენ. 50 წლიანი სამხრეთაფრიკული ღვინით გაგვიმასპინძლდნენ. მე შუა ქეიფში ლეო ვილიამსმა წარმადგინა, ეს ახალგაზრდა კაცი საქართველოს რაგბის კავშირის გენერალური მდივანია და ცნობილი ქართველი მოქანდაკის, ძველი მორაგბის გია ჯაფარიძის ნახელავ პრიზს სჩუქნის სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირსო. პრიზი პინარის მაგიდაზე დავდგი, მსოფლიო თასის გვერდით და მთელი საღამო ხელოვნების ეს ორი ნიმუში ერთმანეთს გვერდს უმშვენებდა.



ქართველთა ძღვენს მასპინძლებმა მსოფლიოს თასის გვერდით მიუჩინეს ადგილი



გია ჯაფარიძემ კულა გლდანელის ბიუსტი გამოძერწა, მაგრამ შემკვეთები კარგა ხანია არ გამოჩენილან. არადა, ხელოვანი ცნობილი მოჭიდავის ბიუსტსაც უსასყიდლოდ აკეთებს. ის კი არა, საკმაო ბრინჯაო რომ ჰქონდეს, ჩამოასხამდა კიდეც...

მამუკა კვარაცხელია

გია ახალაძის ფოტო

სროლა

## რომ შეარჩიეთ, რაღას იზამდნენ!

ახლახან კვ[illegible] მსოფლიოს ჩემპიონატზე თა[illegible] ქართ[illegible] სამ[illegible] მსროლელმა [illegible] რეზა: თამაზ იმნაიშვილმა, დავით ქვათაძემ და გია შენგელიამ. მრგვალ სტენდზე ჩვენებმა საერთო ჯამში 360 თეფში დააზიანეს და გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. 362 ქულით ოქროს მედლები რუმინელებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზე გასულ იტალიელებს იმდენივე თეფში (360) დაეზიანებინათ, რამდენიც ქართველებს, ოლონდაც ბოლო სერიაში (25 გასროლა) უკეთესი შედეგი ჰქონდათ და სწორედ ამით გვაჯობეს.

პირად შეჯიბრებაში გუნდურში ექვსი საუკეთესო შედეგის მქონეს უნდა განეგრძო პაექრობა. თამაზ იმნაიშვილსა და დავით ქვათაძეს 125 სროლიდან 121 ქულა მოეპოვებინათ, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა ექვსეულში მოსახვედრად — საამისოდ 123 ქულა მაინც იყო საჭირო.

— ჩვენთვის ეს უნიკალური შედეგია — გვითხრა სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ბოსტოლანაშვილმა — გუნდური მესამე ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სახელით ჯერჯერობით არავის დაუკავებია, თანაც გაითვალისწინეთ, რომ ჩვენები, ფაქტიურად, უვარჯიშებლები იყვნენ. ჩვენი სასროლეთი ჯერ კიდევ სამხედრო ნაწილსა აქვს დაკავებული და იქ ფერმაც გაუშენებიათ. რამდენად დიდი პოტენციალი აქვთ ჩვენს მსროლელებს, რომ კვიპროსში ერთი კვირის ვარჯიშით ასეთ შედეგს მიაღწიეს.

ქართველ მესტენდურეთა გუნდი 16-23 ივლისს მოსკოვში საწვრთნელ შეკრებას მოაწყობს, შემდეგ კი გაემგზავრება ფინეთის ქალაქ ლაპტიში, სადაც 24-30 ივლისს ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.

ერეკლე კიკილაშვილი

ხელბურთი

დღეს თბილისში ორდღიანი ვიზიტით ჩამოდიან ევროპის ხელბურთის ფედერაციის ხაზინადარი, ავსტრიელი ალექს ტონკორტი და ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, შვეიცარიელი კარლ გიუნტცელი. რა იქნება, რაში და როგორ დაგვეხმარებიან, ამას მომავალი გამოაჩენს, სტუმრობის მიზეზი კი ნამდვილად კეთილშობილურად ჟღერს — საქართველოში ხელბურთის სადღეისო მდგომარეობის გაცნობა და შესაძლო დახმარების გაწევა. ხვალ, 13 საათზე, გაერთიანება „სამთოქიმიის" შენობაში (მეტრო „დიდუბესთან") სტუმრები პრეს-კონფერენციასაც გამართავენ.

## პირველად იყო ვერცხლი



ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე, ბათში, საქართველოს დელეგაცია შაბათს ჩავიდა, მეორე დღეს კი სტუმართა ერთობ შთამბეჭდავი, ხალისიანი და მდიდრული მიღების მონაწილე გავხდით. მიღებას ბევრი სახელიანი და საპატიო სტუმარი ამშვენებდა. მარტო ის რად ღირს, რომ დამსწრეთა სმენა დაატკბო მონსერატ კაბალიემ, ვინაც ბარსელონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ცხონებულ ფრედი მერკურისთან ერთად იმღერა. ამ დაუვიწყარ კონცერტამდე კი საყოველთაო ლხინიც გაიმართა. უშუალოდ ოლიმპიური დღეების გახსნაც ფრიად საზეიმოდ დაეგეგმათ მასპინძლებს — ცეცხლის დანთება ლინფორდ კრისტის დააკისრეს, დროშის გამომტანთა შორის კი სებასტიან ქოუ, ნილ ადამსი, ადრიან მურპაუზი იყვნენ...

გუშინ შეჯიბრებებიც დაიწყო. ძიუდოისტმა ფირუზ ტყეშელაშვილმა (50 კგ) პირველ წრეში დაისვენა, მომდევნოებში მოუგო რუმინელ ბასტიას (იუკოთი), რუს ზარეცკის (წმინდად), ბელარუს ნოვიკს (წმინდად), ფინალში ინგლისელ ნილს შეხვდა, დამარცხდა და ვერცხლის მედალი ირგუნა. ჩოგბურთელმა ირაკლი უშანგიშვილმა ლიტველი ტეკანისი დაამარცხა — 7:5, 6:4 და მომდევნო წრეში გავიდა. ჩვენმა მძლეოსნებმა კი ერთობ უხეიროდ იასპარეზეს — ბადრი ხეხელაშვილი (400 მ) და შამილ მამედოვი (100 მ) ბოლო ადგილებზე გავიდნენ, ირინა ჯებისაშვილი (400 მ) და ნინო ბაგაშვილი (100 მ) კი ბოლოსწინაზე.

მერაბ რატიშვილი, ლონდონიდან

# კარუსელი დატრიალდა



ერთადერთი ზანგი „ქურციკი“ ჩესთერ ვილიამსი დასავლეთ კონცხში თამაშობს

მსოფლიო თასის ისტორიული ფინალიდან, სამხრეთი აფრიკის „ქურციკების“ გამარჯვებით რომ დასრულდა, ორი კვირის თავზე ამ ქვეყნის პირველობა – ქარრის თასის გათამაშება დაიწყო, მაგრამ 13 მსოფლიო ჩემპიონს პირველ ტურში არ უთამაშია.

მიზეზი ტრანსვაალურ რაგბში ამტყდარი ამბოხია. ᲬᲘᲜᲐ კვირის დასაწყისში ამ ბობოლა პროვინციის უბობოლესმა მოთამაშეებმა მეტი ჯამაგირი მოითხოვეს, რაც, ცოტა არ იყოს, უცნაურია „სამოყვარულო“ რაგბისთვის, თუმც მთელმა მსოფლიომ მშვენივრად უწყის, რომ სამხრეთი აფრიკის ყველა მოწინავე პროვინცია, მეტადრე კი ბოლო ორი წლის ჩემპიონი და ნაკრების ძირითადი მომმარაგებელი ტრანსვაალი თავის მოთამაშეებს ფარულად გვარიან გასამრჯელოს უხდის.

მოთამაშეებმა პროვინციის მთავარი რაგბის მამისგან – მილიონერი დოქტორი ლუი ლეიტისგან უარი რომ მიიღეს, გუნდთან ვარჯიშს თავი ანებეს, რის შემდეგაც ტრანსვაალის მწვრთნელმა რეი მორდტმა პირველ ტურში ალმ. კონცხთან სათამაშოდ ორი თხუთმეტეული შეარჩია. ლეიტმა არაფერი დათმო და და ამბოხებულებს მსუნაგობა დააბრალა, აქაოდა 2 250 000 გირვანქას მთხოვენ ერთი წლის მანძილზე 26 მსოფლიო ჩემპიონისთვის გასანაწილებლადო. არც მოთამაშეები მსხდარან გულხელდაკრეფილი: ნაკრების კაპიტანმა ფრანსუა პინარმა განაცხადა, კონკრეტული თანხა არც მოგვითხოვია, ჩვენ მხოლოდ საპენსიო ფონდის შექმნა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება გვსურდაო, მეამბოხეთა თავკაცმა – შუამარბმა ჰენი ლერუმ კი თავი იმართლა, ლეიტისთვის ულტიმატუმი არ წაგვიყენებია, მხოლოდ ჩვენი მოსაზრებების კრებული მივართვით, რასაც სულ მალე სხვა ქვეყნებშიც იზამენო.

ასე იყო თუ ისე, მორდტმა 13-ვე ამბოხებული გარიცხა გუნდიდან და პორტ-ელიზაბეთს ალმ. კონცხთან შესახვედრად მეორე ნაკრები წაიყვანა. მასპინძლებმა, რომელთაც ბობოლათაგან ერთადერთებს არასოდეს მოუგიათ თასი, შანსი ხელიდან არ გაუშვეს და ჩემპიონს მარცხი აგემეს.

თამაშის წინადღით მოდავენი მორიგდნენ: ლეიტმა შეიფერა ამბოხებულთა ბოდიში და პროვინციის ნაკრებში შემდეგი ტურებისთვის აღადგინა, მოთამაშეებმა კი ივალდებულეს, რომ დოქტორი აღარ შეაწუხონ აგვისტოს ბოლომდე, ვიდრე გაიმართება რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) პარიზის საგანგებო სხდომა, რომლისგანაც მოელიან, რომ უმაღლესი დონის რაგბს მოყვარულობის ყადაღას ახსნის.

ამბოხებულთა შეწყნარების გამო ხმა აღიმაღლა ტრანსვაალის რაგბის კავშირის ახალმა ადმინისტრატორმა, ნაკრების ცნობილმა კვაჭმა ული შმიდტმა, რომელიც ამ ოთხი თვის წინ კისრის ქრონიკული ტრავმის გამო იძულებული შეიქნა, თამაშისთვის თავი გაენებებინა და მსოფლიო თასი გასცდენოდა. შმიდტი თურმე ნაწყენი ყოფილა თანაგუნდელებზე, რომლებსაც იგი მედიასთან საურთიერთობოდ თავიანთ წარმომადგენლად დაუწუნებიათ. ამის გამო ულიმ მოითხოვა, პინარს ამიერიდან ნუღარ აკაპიტნებთ გუნდისთვისო, რასაც, რაღა თქმა უნდა, არავინ დაეთანხმა: პინარის დამსახურება ხომ განუზომელია, ხალხის უსაყვარლესი პიროვნებაცაა და მის გარეშე ხომ გუნდი გუნდს აღარ ჰგავს.

მანამდე სამხრეთაფრიკელებს სხვა სადარდებელიც ჰქონდათ: თასის მოგებისთანავე მწვრთნელმა ქიჩ ქრისთიმ და მენეჯერმა მორნე დიუპლესიმ განაცხადეს, რომ „ქურციკებს“ თავს ანებებენ. შუა კვირაში ურჩ მოთამაშეებთან მოდავე ლეიტმა ესენი მაინც დაიყოლია, რომ წლის ბოლომდე კვლავაც უწინამძღოლონ ნაკრებს, რადგანაც „ქურციკებს“ ორი ტესტი ელით: 2 სექტემბერს, იოჰანესბურგში – უელსთან, 18 ნოემბერს კი, თვიქნემში – ინგლისთან.

ხელმძღვანელობის დაყოლიებისთანავე გამოქვეყნდა ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ საგაისო სამხრეთაფრიკული ტურნეს განრიგიც: აგვისტო – სექტემბერში სტუმრები ხუთ პროვინციულ თამაშსა და სამ ტესტს გამართავენ, ამასთან პირველი პროვინციული მატჩი რომელიმე ზანგურ დასახლებაში მოეწყობა. თუ ამ სამ ტესტს დავუმატებთ კიდევ ორს, სეზონის პირველ ნახევარში სამხრეთი ნახევარსფეროს ახალ ჩემპიონატში რომ უნდა გაიმართოს, მაშინ გამოდის, წლევანდელი მსოფლიო თასის ფინალისტები გაისად ხუთჯერ (!) შეხვდებიან ერთმანეთს, რაც ჭეშმარიტი ზეიმი იქნება მთელი მსოფლიოს რაგბის ქომაგთათვის და, მათ შორის, ქართველებისთვისაც, ვინაიდან ყველა ასეთი თამაშის ტელეტრანსლირების მონოპოლური უფლება ათი წლით ერგო მერდოქის „სთარ თი-ვის“, რომელსაც თბილისში ხალხი შინ უყურებს.

არც ზელანდიელი რაგბის მამები უქმობენ: მერდოქისაგან მიღებული ფულით „ოლ ბლექსის“ წევრებს სთავაზობენ ისეთ პაკეტებს, ამათ ლიგის რაგბელთა სარფიან წინადადებებზე რომ აღარც აფიქრებინებს. როგორც იტყობინებიან, ნაკრების რიგითი წევრების მინიმალური წლიური სარგო 70 ათასი გირვანქა იქნება, ჯონა ლომუს რანგის მოთამაშეებს კი ბევრად მეტს მისცემენ. რაც შეეხება ჭორებს, ლომუ სულ მალე ამერიკული ბურთაობის კლუბ „დალას კავბოიზში“ გადავაო, არ გამართლდა. ბუმბერაზი გარემარბი 22 და 29 ივლისს ავსტრალიასთან გასაჯიბრებლად, ოქტომბერ – ნოემბერში კი „ოლ ბლექსის“ ფრანგულ ტურნეზე სათამაშოდ ემზადება.

ამ რვამატჩიან ტურნეს წყალი შეუყენა საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის ჟაკ შირაკის გადაწყვეტილებამ, ზღვისრეთის ატოლ მორორუაზე განაახლებინოს ატომური იარაღის გამოცდა. მთელს რეგიონში აგორდა საპროტესტო ტალღა და ახალი ზელანდიის შრომის პარტიის წევრმა პარლამენტარებმაც მოსთხოვეს ქვეყნის რაგბის კავშირს, საფრანგეთის ბოიკოტში მხარი დაგვიჭირეთო. ზელანდიური რაგბის მამამ – რიჩი გაიმ კი იმართლა თავი, რაგბის კავშირი პოლიტიკური ორგანიზაცია არაო, მაგრამ ისიც აღიარა, პარლამენტართა მოთხოვნა სამართლიანიაო.

„ოლ ბლექსთან“ შესახვედრად ემზადება „კამპოც“ – ავსტრალიელ „ვოლაბთა“ გარემარბი დევიდ ქემპიზი, რომელმაც ამ მსოფლიო თასზე ერთი ლელოც ვერ გაიტანა. არადა, კამპო მსოფლიოს უპირველესი მელელოვეა და 1982 წლიდან ნათამაშევ 91 ტესტში 63 ლელო აქვს გატანილი. ამ ცნობილ მორაგბეს უთქვამს, ნაკრებს თავს მანამ არ დავანებებ, ვიდრე ფრანგი სელასავით მეასე კეპს არ მოვიზვეჭო!

დასასრულ, ქარრის თასის პირველი ტურის ორი სხვა თამაშის შესახებაც. ქეიფთაუნში სტუმარი ნატალი შესვენებისთვის 18:10 უგებდა დას. კონცხს, მაგრამ მეორე ნახევარში მასპინძელთა ზანგმა გარემარბმა ჩესთერ ვილიამსმა დიდებული ლელოთი თამაში გარდატეხა, კიდევ ერთმა „ქურციკმა“ – ჯოელ სტრანსკიმ კი მშვენივრად ურტყა და თამაშიც სწორად წარმართა. პრეტორიაში წლევანდელი გათამაშების უცილო ფავორიტმა – ჩრდ. ტრანსვაალმა, ვისაც ისევ წვრთნის დოქტორი ჯონ ვილიამსი, დაანგრია შარშანდელი ფინალისტი ნარინჯი, ვისაც წელს დაარსებიდან ასი წელი კი უსრულდება, მაგრამ ცნობილი მოთამაშეები კი შემოჰფანტვია: ზოგი მათგანი იმდენად ყოფილა განაწყენებული, რომ სხვა, უფრო დაბალ ჯგუფში მოასპარეზე პროვინციებშიც გადასულა. პრეტორიელი „ლურჯი ხარების“ ორი ლელო ნაკრების 9 ნომრის – იუსტ ფანდერვესტჰოიზენის ანგარიშზეა, თითო კი მარბიელმა რუბენ კრუგერმა და მცველმა თეო ფანრენსბერგმა გაიტანეს. სხვათა შორის, ბრიტანეთის ლიგის რაგბის კლუბ „ლიდსს“ გაგანია მსოფლიო თასზე ჭორი დაუყრია, ფანდერვესტჰოიზენმა ნახევარმილიონიან კონტრაქტზე მოგვიწერა ხელიო, რაც მოთამაშეს მყის უარუყვია.

**უჩა დავითაშვილი**

| ქარრის თასი. 1 ტური. 8 ივლისი | | |
|---|---|---|
| ალმ. კონცხი | — | ტრანსვაალი |
| 31 (3ლ) | | 17 (2ლ) |
| დას. კონცხი | — | ნატალი |
| 28 (3ლ) | | 21 (2ლ) |
| ჩრდ. ტრანსვაალი | — | ნარინჯი |
| 33 (4ლ) | | 3 |

# ეჯბასტონში რა მინდოდა!?



როგორც წინა „აქეთურ-იქითურიდან“ მოგეხსენებათ, ინგლისში სატურნეოდ ჩამოსული ვესტ-ინდოელი მოკრიკეტეები მთლად დაწყობილი ვერ შეხვდნენ მესამე ტესტს, 6 ივლისს ეჯბასტონში რომ დაიწყო და რომლის საცქერლადაც ამდენს მეპატიჟებოდნენ ჩემი აქაური მეგობრები, მაგრამ ვერასგზით დამიყოლიეს, ვინაიდან უიმბლდონის გადამწყვეტი თამაშების ცხადად ხილვა მსურდა.

ასე იყო თუ ისე, კრიკეტს ტელევიზიით მაინც მივადევნე თვალი. თუ წინა, მეორე ტესტი არ მომეწონა და ჩემი შთაბეჭდილებაც ერთი რთული წინადადებით გამოვხატე: ვიღაც ინგლისელი ქორქი მთელი დღე ზანგებს ესროდა ბურთს და რომ გააგდებდა, ხარობდამეთქი, ახლა თამაშს ჩავუღრმავდი და ჩემთვისაც დავასკვენი, რარიგ მართალი ყოფილა ქართული კრიკეტის პირველი მერცხალი ყაფლან ჯანდიერი, დაულალავად რომ მიმტკიცებდა, არათუ კრიკეტს, თვით ასუჯრიან შაშსაც თავისი, უნიკალური ხიბლი აქვსო.

ამთავითვე ვიტყვი, აქაურებს რომელიმე ეთნიკური ჯგუფი თუ ეჯავრებათ, ეგენი ვესტ-ინდოელები არიან, ვინაიდან ერთობ კადნიერად იქცევიან. ეჯბასტონში ასე მოხდა: მართალია, დიდებული დარი იდგა და 20-ათასიანი ტრიბუნებიც შეივსო, მაგრამ სტუმრებმა მოსეირეებს არ აცალეს და ხუთ დღეზე გათვლილი თამაში ორდღენახევარში დაასრულეს.

ინგლისმა ესოდენ სასტიკი მარცხი შინ წინა ჯერზე 1966 წელს იწვნია. მაშინ მე დაბადებულიც არა ვყოფილვარ.. განსაკუთრებით კატასტროფული გამოდგა ინგლისელთა დაქცევა მესამე დღეს, როცა სტუმრებმა სადილობამდე, ოდენ 77 წუთში, მეორე შესვლას შემორჩენილი შვიდი ტაფელოსანი სულ რაღაც 30 გარბენის ფასად გაუგდეს ინგლისელებს. მართალია, თამაშის შემდეგ ბრიტანელებმა თავი იმართლეს, მოედნის მდგომარეობა ჩვენზე მეტად ვესტ-ინდოელებს აძლევდათ ხელსო, მაგრამ ამათ პასუხად მიუგეს, მასპინძლები თქვენა ხართ და რომ შემოგვეთამაშებინათ, მანქანის სადგომზე თამაშსაც დაგყაბულდებოდითო!

საბოლოო ანგარიში ასეთი იყო: ინგლისი — 147 და 89; ვესტ-ინდოეთი — 300; ვესტ-ინდოეთმა გაიმარჯვა შესვლითა და 64 გარბენით.

როგორც კი მატჩი ნაადრევად მორჩა, მყის უიმბლდონისაკენ ავიღე გეზი. სალამოს შევიტყვე, მეტოქეები ბურთის ნელა მოწოდების გამო დაუჯარიმებიათ: ერთ გუნდს მატჩის ჰონორარის 25 პროცენტი დაუქვითეს, მეორე – 5 პროცენტი. ჩემდათავად, თუ აქაურობას კიდევ შემოვრჩი, მეოთხე ტესტის ამბებსაც გადმოგცემთ.

**ზურაბ მექველია,**
ლონდონიდან

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

რუსეთის ჩემპიონატი. 15 ივლისი

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| ტორპედო - ლოკომოტივი მ | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ვლადიკავკაზი - ჟემჩუჟინა | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| ვლადიკავკაზი - ჟემჩუჟინა (0:2) | 1,5 | 3,5 | 2,2 |
| სპარტაკი მ - ჩერნომორეცი | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| სპარტაკი მ - ჩერნომორეცი (0:2) | 1,5 | 3,5 | 2,2 |
| ცსკა - ურალმაში | 1,3 | 3,0 | 5,0 |

კოპა ამერიკა. 11 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ - ბოლივია | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| არგენტინა - ჩილე | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| არგენტინა - ჩილე (0:1) | 1,4 | 3,5 | 2,5 |
| **12 ივლისი** | | | |
| პარაგვაი - ვენესუელა | 1,1 | 3,4 | 6,5 |
| პარაგვაი - ვენესუელა (0:1) | 1,4 | 3,5 | 2,5 |
| ურუგვაი - მექსიკა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| **13 ივლისი** | | | |
| პერუ - ეკვადორი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ბრაზილია - კოლუმბია | 1,5 | 2,8 | 3,8 |

ფორმულა-1. 16 ივლისი. შუმახერი — 1,5; ჰილი — 2,0, ალეზი — 3,5; კულტჰარდი — 3,5; ბერგერი — 4,0; ჰაკინენი — 7,0; ბლანდელი — 8,0; ჰერბერტი — 8,0, დანარჩენები — 15,0; პირველი სამეული — 10,0

ინტერტოტოს თასი. 15-16 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე - შეფილდი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ორჰუსი - ბაზელი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| რუდარი - კიოლნი | 6,5 | 3,2 | 1,15 |
| ტოტენჰემი - ოსტერსი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ეკერენი - უნივერსიტატია | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| არაუ - ჰაფნარი | 1,05 | 3,5 | 10,0 |
| ტონ პეტრი - უნიაუ | 7,0 | 3,8 | 1,05 |
| ჰერენვენი - ბეკეშჩაბა | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ბორდო - ოდენსე | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ნორჩიოპინგი - ბოჰემიანსი | 1,2 | 3,2 | 5,6 |
| ზაგრები - მეცი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ლინცერი - კეფლავიკი | 1,1 | 3,4 | 6,5 |
| ლევერკუზენი - ბუდუჩნოსტი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ოფი - ტერვისი | 1,1 | 3,2 | 8,0. |
| დნეპრი - კანი | 6,5 | 3,4 | 1,1 |
| ბეჩეი - პოგონი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ბევერენი - გრონინგენი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ჩაპლაული - ბობი | 1,3 | 3,5 | 5,0 |
| კოშიცე - შარლერუა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| უიმბლდონი - ბეითარი | 1,2 | 3,4 | 5,0 |
| სტრასბური - ტიროლი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| გენჩლერბირლიგი - ფლორიანა | 1,05 | 3,5 | 10,0 |
| პანერისი - აინტრახტი | 8,0 | 3,2 | 1,1 |
| ფორვარტსი - სპარტაკი | 1,3 | 3,2 | 4,4 |

შესაძლო კორექტივებს ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს 13-დან 16 საათამდე

## რვაათასიანები

# სიკვდილის მთა




*შორს, დასავლეთ ჰიმალაიში, ევერესტსა და დარჯილინგიდან ათას ხუთასი კილომეტრის დაშორებით არის მთა, რომლის სახელის ხსენება მუდამ საშიშროებასა და სიკვდილს მაგონებს.*

*თენსინგ ნორგეი*

მთელ დედამიწაზე არცერთ მწვერვალზე პირველასვლას არ შეეწირავა იმდენი მთამსვლელის სიცოცხლე, რამდენიც ნანგა პარბატს. 1953 წელს, მანამ ჰერმან ბული მარტოდმარტო პირველი ავიდოდა ამ რვაათასიანზე, ნანგა პარბატის ფერდობებზე 32-მა მთამსვლელმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ეს მეტი იყო, ვიდრე მსოფლიოს დანარჩენ ცამეტ რვაათასიანებზე ერთად აღებული მსხვერპლი. ამიტომ მას სიკვდილის მთაც შეარქვეს.

1913 წლის ექსპედიცია თითქოს უმსხვერპლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ერთ წევრს, შინისკენ რომ ბრუნდებოდა, სიკვდილი გზაში დაედევნა და ნანგა პარბატთან მორკინალი კაცი შორეულ ეგვიპტეში ხეფრენის პირამიდიდან ჩამოვარდა.

მაგრამ ნანგა პარბატმა მხოლოდ მთამსვლელებში როდი დაიგდო მრისხანე, უკარება და სისხლისმსმელი მწვერვალის სახელი. იგი „მშვიდობიან" მოსახლეობაზეც ნადირობდა და 1841 წელს თავისი ფერდობებიდან საკმაოდ ქვემოთ მცხოვრებთა დიდ ნაწილს მუსრი გაავლო. მაშინ ნანგა პარბატის ფერდობებიდან უზარმაზარი ზვავი დაეშვა და მდინარე ინდის კალაპოტი გადაკეტა. რაკი მდინარემ გასაქანი ვეღარ ჰპოვა, რამდენიმე თვეში უშველებელ ტბად იქცა. მერე წყალმა მაინც იმძლავრა, ზღუდე გაანგრია და ვეება ლოდები ნაფოტივით აიტაცა. ეს ყველაფერი გრიალით დაბლობისკენ ზვავივით დაეშვა და იქ მცხოვრებთ მეხივით თავს დაატყდა.

***

ნანგა პარბატი ჰიმალაის ჩრდილო-დასავლეთის დაბოლოებაზე, პაკისტანში მდებარეობს და მთელ ამ ტერიტორიაზე უმაღლესი მწვერვალია. ნანგა პარბატიდან უახლოესი რვაათასიანი ათასი კილომეტრითაა დაშორებული და ამ მასივის მიდამოებში შვიდიათასიანი პიკებიც კი თითზე ჩამოსათვლელია. ამიტომ ნანგა პარბატის უშველებელი მასივი დანარჩენ მწვერვალებს ამაყად დასცქერის და გაცილებით ბუმბერაზი ჩანს, ვიდრე სხვა ცამეტივე რვაათასიანი, მათ შორის თვით დედამიწის უმაღლესი მწვერვალიც.

ნანგა პარბატის მთავარი მწვერვალის სიმაღლე 8125 მეტრია, წინათ კი რუკებზე 8114 მეტრი იყო აღნიშნული. იქვეა წინა მწვერვალიც, 8072 მეტრზე აღმართული პიკი, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ 62 მეტრით დაბალი ეგონათ. ამას გარდა, ნანგა პარბატის მასივზეა კიდევ ოთხი მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 7000 მეტრს საკმაოდ აჭარბებს. ესენია ჩრდილოეთ მწვერვალი I (7816 მ), ჩრდილოეთ მწვერვალი II (7785 მ), ვერცხლის განშტოება (7597 მ) და ჩრდილო-აღმოსავლეთის პიკი (7530 მ). ბუნებრივია, რომ „ჯუჯა" მეზობლებში აღმართული ეს უშველებელი ბუმბერაზი მასივი, თანაც ექვსთავიანი, მეტად შთამბეჭდავად და დამთრგუნველად გამოიყურება.

მთელი მასივი ყოველმხრივ ციცაბო ფერდობებიანია. მათგან განსაკუთრებით ციცაბო სამხრეთისა და აღმოსავლეთისაა. ყველა მათგანი, მეტ-ნაკლებად, სქელი თოვლ-ყინულითაა დაფარული. ამ მხრივ ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფერდობები გამოირჩევა.

განსაკუთრებით ზვიადი სანახავია მასივის სამხრეთი კედელი. ბევრი ფიქრობს, რომ ნანგა პარბატის ეს კედელი მთელ დედამიწაზე ყველაზე მაღალია. იგი რუპალის ველიდან (3580 მ) იწყება და მწვერვალამდე ასიოდე მეტრით ქვემოთ თავდება. კედლის პირველი ნახევარი საშუალო, 40-გრადუსიანი დახრილობისაა, მეორე ორკილომეტრიანი მონაკვეთი კი 51 გრადუსს აღწევს და დიდთოვლობის გამო ძალზე ზვავსაშიშია.

ნანგა პარბატს უშველებელი გამყინვარება აქვს. ჩრდილო-აღმოსავლეთით გრანდიოზული რაკჰიოტის მყინვარია, ჩრდილო-დასავლეთით — დიამირისა, აღმოსავლეთით — ბაცინისა და სამხრეთით — რუპალისა.

მასივის მისადგომებამდე გზები რაკჰიოტის, დიამირისა და რუპალის მყინვარებზე გადის, მაგრამ მთავარ მწვერვალზე შესაძლო [illegible] მარშრუტები ერთობ შეზღუდულია, რაკილა მათი ფერდობები მეტად ციცაბო და ზვავსაშიში გახლავთ.

***

მიუხედავად იმისა, რომ ნანგა პარბატი სიმაღლით მხოლოდ მეცხრეა, იგი ძალიან შორიდან, ინდის ველიდან და სხვა ადგილებიდანაც კარგად მოჩანს. ამიტომაც მას ყველთაგანვე იცნობენ.

ნანგა პარბატს ადგილობრივი მკვიდრნი, ბალტის ტომის წარმომადგენლები, „დიამირს" უწოდებენ, რაც მთის მეფეს, მთის მბრძანებელს ნიშნავს. თუმცა ეს სახელი ძალიან ლამაზია და ამ ბუმბერაზს ზედმიწევნით შეეფერება, მაგრამ მაინც ვერ დამკვიდრდა. მთამსვლელები და გეოგრაფები ამ გიგანტის სახელწოდებად ამჯობინებენ ნანგა პარბატს, რაც სანსკრიტის ენაზე „საშინელებათა შიშველ მთას" ნიშნავს.

ამ საშინელებათა შიშველ მთასთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. მერე, როცა ადამიანებმა მთის მბრძანებლისა თუ მთათა მეფის ქედმოსახრელად იერიშები დაიწყეს, მათი სიმამაცის ამბებიც ლეგენდასავით დაუკავშირდა ნანგა პარბატს.

***

პირველი ექსპედიცია, რომელიც ინგლისელებისა იყო, ამ მწვერვალზე 1895 წელს მოეწყო. ეს ექსპედიცია პირველი იყო არა მხოლოდ ნანგა პარბატზე, არამედ საერთოდ რვაათასიანზე, რომელზე ასვლაც მთამსვლელებმა პრაქტიკულად სცადეს კიდეც.

ექსპედიციას იმ დროისთვის გამოჩენილი მთამსვლელი და მოგზაური ა. მამერი მეთაურობდა. მის პატარა გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც გ. ჰასტინგსი, ნორმან კოლი და ევერესტიდან მკითხველთათვის უკვე ნაცნობი ჩარლზ ბრიუსი გახლდნენ, განზრახული ჰქონდა არა მხოლოდ მწვერვალის დაზვერვა, არამედ მასზე ასვლის ცდაც. ისინი მწვერვალს დიამირის ხეობიდან მიადგნენ. მათ გამოიკვლიეს ნანგა პარბატის ის თოვლიან-ყინულიანი ფერდობები, რომლებიც ამ ხეობაში ეშვებოდნენ, მერე კი იერიშზეც გადავიდნენ. მამერიმ ერთ გურკჰ მებარგულთან ერთად ჩრდილო-დასავლეთით მდებარე კლდოვან კედელს შეუტია და 6100 მეტრზე გამავალ თხემზეც ავიდა.

მამერის, ბუნებრივია, ჰიმალაის მთებში სიარულის გამოცდილება არ ჰქონდა. ამიტომ იფიქრა, ყველა სირთულე უკან მოვიტოვე და ხვალ მწვერვალზე ვიქნებიო, მაგრამ რა იცოდა, რომ იქამდე ერთ დღეში ვერაფრით ააღწევდა და სამი ბანაკის მოწყობა მაინც დასჭირდებოდა. მამერი მართლაც გაუდგა გზას, მაგრამ ზვავის საშიშროება დაინახა, მის გამყოლსაც მთის ავადმყოფობა შეეყარა და ამიტომ პირი იბრუნა. თუმცა უკან არ დაუხევია. მეთაურმა გადაწყვიტა მყინვარ რაკჰიოტზე გადასულიყო და იქ უფრო უხიფათო გზა ეპოვა. მამერი ერთ გამცილებელთან ერთად ჩრდილოეთის ქედისკენ (6200 მ) გაემართა, მაგრამ იქიდან აღარ დაბრუნებულა. ეს ოთხეული მთამსვლელთაგან ნანგა პარბატის და საერთოდ რვაათასიანების პირველი მსხვერპლი გახდა, რასაც დიდი მსჯელობა და პრესა მოჰყვა.

1913 წელს ნანგა პარბატს კანჩენჯანღას ოთხი ექსპედიციის მონაწილის, იმ დროისთვის უკვე ჰიმალაების ცნობილი მკვლევარისა და მთამსვლელისა. კელასის ხალხი მიადგა. ინგლისელთა ამ ექსპედიციას მწვერვალზე ასვლის ცდა გუნებაში არც ჰქონია. მან ნანგა პარბატის სამხრეთი ფერდობები გამოიკვლია და საკმაო წარმატებითაც, 1928 წელს კი სამხრეთ-დასავლეთის ფერდობები ახლა იაპონელებმა გამოიკვლიეს დენირო ხაშეგავას მეთაურობით.

***

ამ ექსპედიციების მერე 1932 წლიდან სიკვდილის მთაზე გერმანელთა ხანა დაიწყო. დაიწყო და ნანგა პარბატმა მართლაც სიკვდილის ცელი დაატრიალა, რაშიც, როგორც ვთქვით, ყველა თანამომძეს აჯობა.

1932 წელს ნანგა პარბატისკენ გერმანელები ამერიკელებთან ერთად დაიძრნენ. ექსპედიციაში იყვნენ: გერმანელები, ექსპედიციის მეთაური ვილი მიორკლი, პეტერ აშენბრენერი, ფრიც ბეხტოლდი, ფრიც ვისნერი, ექიმი ჰუგო ჰამბურგერი, ამერიკელები ჰერბერტ კუნიგკი, რენდ გერონი, ფელიქს სიმონი და კაპიტანი ფრაიერი.

იმ მიდამოებს, სადაც საბაზო ბანაკი დასცეს, უჩვეულო სილამაზის გამო „ზღაპრული ველი" უწოდეს. მოგვიანებით ეს ბანაკი მორენის თავზე, მყინვარ რაკჰიოტსა და განალოს შორის, 3967 მეტრ სიმაღლეზე გადაიტანეს. საშუალედო ბანაკების დადგმა და მარშრუტის დამუშავებაც აქედან დაიწყო. მიორკლიმ და ბეხტოლდმა 7000 მეტრ სიმაღლეზე მავრის თავს — შავი კლდოვანი კოშკის წვერს მიაღწიეს და მეშვიდე ბანაკი გამართეს. ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ მალე მწვერვალზე ავიდოდნენ. აქედან ქედი ნაკლებად დახრილი ჩანდა, ხოლო „ვერცხლის უნაგირის" მერე სირთულეს აღარც მოელოდნენ. მაგრამ იმ ღამეს თოვა დაიწყო და მეორე დღესაც გადაუღებლად გაგრძელდა. ვილი მიორკლიმ დამარცხება აღიარა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მწვერვალზე ასასვლელად სწორ გზას მიაგნო და ექსპედიცია შინისკენ გაემართა.

მაგრამ ნანგა პარბატმა, თითქოს უმსხვერპლოდ როგორ გადარჩითო, ეგვიპტეში ჩასულთ სიკვდილი დაადევნა და რენდ გერონს მაშინ წამოეწია, როცა ხეფრენის პირამიდაზე ავიდა.

სამშობლოში დაბრუნებულ ვილი მიორკლის კი ნანგა პარბატმა მოსვენება მთლად დაუკარგა, დღედაღამ მასზე ფიქრობდა. გულუხვი დამფინანსებლებიც გამოჩნდნენ და მათი წყალობით ჩამოყალიბდა გიგანტური ექსპედიცია, რომელშიც ცხრა ძლიერი მთამსვლელი გაერთიანდა. წინა ექსპედიციიდან ამ გუნდში მიორკლის გარდა იყვნენ აშენბრენერი და ბეხტოლდი, მათ კი დაემატნენ პეტერ მიულრიტერი, ალფრედ დრექსელი, ერვინ შნაიდერი, ვილი ველცენბახი და ული ვილანდი. მათთან იყვნენ შერპებიც, რომლებიც თავიანთი სოფლებიდან პირველად წავიდნენ ასე შორს.



ვილი მიორკლი (მარჯვნიდან მეორე) 1934 წელს, ნანგა პარბატზე მეორედ და უკანასკნელად გამგზავრების წინ



პაზანგ კიკული (შუაში), ეს უმამაცესი შერპი, 1934 წელს გაყინული და ქანცგაწყვეტილი, მაინც გამოექცა ნანგა პარბატს, მაგრამ როგორც ჩვენს მკითხველს ახსოვს, იგი ჩოგორიზე დადლი ვოლფის გადარჩენას შეეწირა

მთამსვლელებმა პირველი ოთხი ბანაკი ძალზე სწრაფად, ძველ ადგილებზე მოაწყვეს. ამას სულ რაღაც 17 დღე დასჭირდა, მაგრამ მოულოდნელად ჯგუფის ერთ-ერთი წევრი [illegible] ვების ანთებით გარდაიცვალა. ვილი მიორკლიმ [illegible] საბაზო ბანაკში [illegible], რათა [illegible] უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ.

ამას ისიც დაემატა, რომ შერპებს თავიანთი საყვარელი ტზამბა (ქერი) გაუთავდათ და მის მოსატანად დიდი დრო დაიკარგა. 17 უქარო და ნათელი დღე. მეოთხე ბანაკში მათ მხოლოდ ამის შემდეგ ააღწიეს და საქმეც დაიძრა. ერვინ შნაიდერმა და პეტერ აშენბრენერმა მარშრუტი წინა მწვერვალამდე 7850 მეტრ სიმაღლემდე დაამუშავეს. მთავარ მწვერვალამდე 275 მეტრილა რჩებოდა, მაგრამ დანარჩენებმა მერვე ბანაკი ცოტა ქვემოთ, „ვერცხლის უნაგირაზე" გამართეს და ისინიც იქ დაემხნენ, რაკილა მიორკლის სურდა მწვერვალზე მთელი გუნდი ერთად ეხილა.

7 ივლისი შეიძლებოდა ისტორიული გამხდარიყო და ნანგა პარბატი რვაათასიანთა შორის პირველი დანებდებოდა ადამიანებს — ხუთი ძლიერი მთამსვლელი და თერთმეტი შერპი მერვე ბანაკში მოგროვდა. მაგრამ იმ დღეს ნანგა პარბატმა თავს ქარაშოტი დაიტეხა და ქარიშხალმა კარვები მოგლიჯა, საძილე ტომრებში შეფუთნულები კი თოვლმა დაფარა. მთამსვლელებმა ჯოჯოხეთური ღამე გაათენეს და გადაწყვიტეს პირი ებრუნებინათ, რათა გამოდარების შემდეგ კვლავ იერიშზე გადასულიყვნენ. მერე მიორკლიმ აშენბრენერი და შნაიდერი სამ შერპთან ერთად წინ გაუშვა, დანარჩენებისთვის „გზა" რომ გაემზადებინათ და მეშვიდე ბანაკიც წესრიგში მოეყვანათ. თავადაც კარვები, საკვები და საჭურველი იქვე დატოვეს და დაშვებაც დაიწყეს. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმ დღეს არათუ მეშვიდე, მეოთხე ბანაკშიც ჩააღწევდნენ, მაგრამ ქარიშხალმა სავალი გაართულა. გავეშებულმა ქარბორბალამ დღე ღამედ აქცია. მიუხედავად იმისა, რომ შეუჩერებლად ეშვებოდნენ, მაინც გზაში შემოაღამდათ. ქანცგაწყვეტილმა და გათოშილმა თერთმეტმა კაცმა თოვლში გამოქვაბული გამოთხარა. ის საშინელზე საშინელი ღამე სამი საძილე ტომრის ამარა თეთრად გაათენეს, დილით კი გზა განაგრძეს. მეშვიდე ბანაკში ჩასულთ არავინ დახვდათ, კარვები კი თოვლით ამოვსებული იყო. თურმე შნაიდერი და აშენბრენერი აქ არც შეჩერებულან, ჩამორჩენილი შერპებიც მიეტოვებინათ. უფიქრიათ, ამათ მიორკლის ჯგუფი წამოეწევაო და თავად ოცდაჩამოღლეჯილნი მეოთხე ბანაკში ჩასულიყვნენ.

ასე იყო თუ ისე, თოვლით ამოვსებული კარვების სიახლოვეს, რაკი სიარული აღარ შეეძლოთ, მთამსვლელებმა გაჭირვებით კვლავ გამოქვაბული გამოთხარეს, მანამდე კი, ბანაკამდე რაღაც 30 მეტრილა რომ რჩებოდა, ილაჯგაწყვეტილი ვილანდი თოვლში ჩაჯდა და ქანცგაწყვეტილმა სული განუტევა.

მიორკლი და ველცენბახი მაშველის მოლოდინში აქ დარჩნენ, ოთხი შერპი მეექვსე ბანაკისკენ დაეშვა. მათ ბანაკამდე გამოქვაბულში შნაიდერისა და აშენბრენერის მიერ მიტოვებული სამი თანამემულე იპოვეს, მაგრამ ამ შვიდიდან მხოლოდ ოთხმა ჩააღწია მეოთხე ბანაკამდე, სხვებმა კი ვილანდის მსგავსად ქანცის გაწყვეტისა და ორგანიზმის გამოფიტვის შემდეგ გზადაგზა სული დალიეს.

ზემოთ დარჩენილი მიორკლი და მისი მეგობრები ამაოდ ელოდნენ დამხმარე ძალას. მათ მოლოდინში ველცენბახი და ორი შერპი, რაკი ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეეძლოთ, ერთმანეთს შეეყინნენ და საბოლოოდ მოისვენეს. მიორკლისა და კიდევ ორ შერპს მათი ბედი ელოდათ, მაგრამ ცოტაოდენი ენერგია კიდევ შერჩენოდათ და ლასლასით დაშვება დაიწყეს. რაკჰიოტის პიკთან მიორკლიმ უკანასკნელი ძალაც დაკარგა და ერთი შერპი, ანგ თსერინგი, მაშველთა საძებრად გაგზავნა, თუმცა მეოთხე ბანაკში მყოფნი უამისოდაც ცდილობდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილებთან ასვლას, მაგრამ ციცაბო ფერდობებზე დადებული ახალი თოვლი ამის საშუალებას არ აძლევდა.

ის ღამე მიორკლისა და შერპ გაილისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. ისინიც ერთმანეთს ჩახუტებულნი შეეყინნენ.

ნანგა პარბატმა კიდევ ცხრა მთამსვლელი შეიწირა. სამი გერმანელი და ექვსი შერპი ქარბუქთან ბრძოლაში დაიღუპნენ. ეს იყო მანამდე არნახული მსხვერპლი ჰიმალაის ისტორიაში, მაგრამ 1937 წელს აქ უფრო დიდი ტრაგედია დატრიალდა. მწვერვალს კვლავ გერმანელები უტევდნენ.

და ისევ შერპებთან ერთად...

მაგრამ ამაზე ჩვენი რუბრიკის მომდევნო გამოშვებაში გიამბობთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

## ჩოგბურთი

# ჩაშლილი დუბლი

დასაწყისი I გვერდზე

ამ გამარჯვებით ნავრატილოვამ უიმბლდონის მე-19 ტიტული მიითვალა და ერთით ჩამორჩება ბილი ჯინ-კინგს, ვინაც რაგინძარა თანრიგში 20-გზის ჩემპიონია.

მთავარი ფინალი 23 წლის სამპრასის გამარჯვებით დასრულდა 6:7 (5-7), 6:2, 6:4, 6:2. წელს მისი მწვრთნელი ტიმ გალიქსონი მძიმედაა ავად, უმოძღვროდ დარჩენილი პიტი კი უკვე ხშირად მარცხდებოდა. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტ მომენტში სამპრასმა უცებ გააძლიერა მოწოდება და თამაში კიდეც გარდატეხა. მატჩის ბოლოს დამარცხებულმაც და გამარჯვებულმაც კორტს სადიდებელი წრე შემოუარეს. პიტმა უიმბლდონი ზედიზედ მესამედ მოიგო, რითაც ლეგენდარული ფრედ პერისა და დიდი ბიორნ ბორგის მიღწევა გაიმეორა. თუმც, ბორგი ზედიზედ სამგზის ჩემპიონობას არ დასჯერებია — რეკორდი ხუთამდე აუყვანია!

ფინალის პერიპეტიებზე ჩემს მონათხრობზე უკეთ გესაუბრებათ ცხრილი, „დეილი ტელეგრაფიდან" რომ გადმოვიღე.



უიმბლდონელი მარწყვის გამყიდველი

**სამპრასი — ბეკერი**

| | სამპრასი | ბეკერი |
|---|---|---|
| ორმაგი შეცდომა მოწოდებისას | 7 | 15 |
| ეისი | 23 | 16 |
| ზუსტი პირველი მოწოდება | 54% | 52% |
| პირველი მოწოდებით ქულის მოგება | 91% | 79% |
| ზუსტი მეორე მოწოდება | 86% | 78% |
| II მოწოდებით ქულის მოგება | 61% | 39% |
| საკუთარი მოწოდებით ქულის მოგება | 77% | 60% |
| მოუგერიებელი მოწოდება | 55 | 50 |
| მომგებიანი წინით დარტყმა | 8 | 4 |
| მომგებიანი უკუდარტყმა | 16 | 5 |
| მომგებიანი პაერდარტყმა | 8 | 16 |
| მომგებიანი მოტყუება | 12 | 4 |
| მომგებიანი მოგერიება | 12 | 5 |
| I მოწოდების საშ. სიჩქარე (მილი-სთ) | 116 | 113 |
| II მოწოდების საშუალო სიჩქარე | 95 | 100 |

ალექსანდრე მეტრეველმა (როგორც გაზეთები წერდნენ, რუსმაო) და იან კოდეშმა იასპარეზეს 45 წელზე უხნესთა წყვილთა ტურნირში და მეოთხედფინალში გავარდნენ. გაიმარჯვეს ავსტრალიელებმა — ნიუკომბმა და როუჩმა, რომლებსაც ჰონორარად 10 100 გირვანქა ერგოთ.

ზურაბ მეძველია,
ლონდონიდან

## მოტორბოლა

# დუენი იგებს და იგებს!

7-9 ივლისს ლე-მანის მოტოდრომზე მოტოციკლისტთა მსოფლიო პირველობის მერვე ეტაპი — საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშება მოეწყო.

პარასკევს წინასწარი კვალიფიკაცია მოიგო პირველობის ლიდერმა მაიკ დუენმა (ავსტრალია, „ჰონდა"). მეორე შედეგი აღმოაჩნდა ალექს კრივიეს (ესპანეთი, „ჰონდა"), მესამე — ალბერტო პუჩს (ესპანეთი, „ჰონდა").

შაბათს, ძირითადი კვალიფიკაციისას პუჩი ჯებირს შეასკდა და ფეხი ისე მოიტეხა, რომ სეზონის ბოლომდე ველარ იასპარეზებს. არადა, მრბოლი საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე მიდიოდა. „პოული" შეინარჩუნა დუენმა, მაგრამ მეორე ადგილზე გადავიდა დარელ ბითი (ავსტრალია, „სუძუკი"), ვისაც ამ ორი კვირის წინ ჰოლანდიაში ასპარეზობისას ლავიწი გაუტყდა. კრივიე დაეცა, მაგრამ არაფერი დაშავებია.

კვირას, 27-წრიან რბოლაში დუენმა დამაჯერებლად, 21 წამით გაიმარჯვა და 25 ქულაც მიითვალა. თავი გამოიდო ლუკა კადალორამ (იტალია, „იამაჰა"), რომელმაც ბითი საბოლოოდ მესამე ადგილზე დატოვა. მეოთხეზე გავიდა შიმიჩი იტო (იაპონია, „ჰონდა"), მეხუთეზე — ალეშანდრუ ბაროსი (ბრაზილია, „ჰონდა"). კრივიე ისევ დაეცა, მაგრამ იოლად გადარჩა.

დუენი საფუძვლიანად მეექვსე წრეზე დაწინაურდა და წელს უკვე მეხუთე დიდი პრიზი მოიგო. საერთო ჩათვლაში მას 145 ქულა აქვს. 135 ქულა მოუგროვდა ბითის, 99-99 — პუჩსა და კადალორას, 92 — კრივიეს, 73 — იტოს, 71 — ბაროსს.

## ველორბოლა



მიგელ ინდურაინი

საფრანგეთის ველოტურზე კიდევ ოთხი ეტაპი გაიმართა, რის შემდეგაც დაწინაურდა უდაო ფავორიტი, ესპანელი მიგელ ინდურაინი, ვინაც თუ ლიდერობას ბოლომდე, 23 ივლისამდე შეინარჩუნებს, „ტურ დე ფრანსის" ისტორიაში პირველი შეიქნება ზედიზედ ხუთგზის გამარჯვებული.

ხუთშაბათიდან კვირამდე გამართული ოთხი ეტაპით ტურის ერთი მესამედი გაილია. გუშინ მრბოლები ისვენებდნენ. მათ ბელგიიდან გადააფრენდნენ საფრანგეთის ალპებში, სადაც დღეიდან ურთულესი სამთო რბოლები გაჩაღდება. პირველი ამგვარი ეტაპი 160-კილომეტრიანია: მისი გალევის შემდეგ ტური ბრუნიონიდან ლაპლანში ჩავა.

მოელოდნენ, რომ ალპებში ასვლის წინ ინდურაინს 2-3 წუთიანი უპირატესობა ექნებოდა, მაგრამ ასე ვერ მოხდა. ეტყობა,

# ის ვეღარაა, რაც იყო...

„ბანესტოს" ლიდერი ის აღარაა, რაც უწინ ყოფილა.

ვიდრე ლიდერის ყვითელ კვართს ინდურაინი დაეპატრონებოდა, ტურის დაწყებიდან იგი უკვე ხუთმა მრბოლმა მოიზომა: ხუთშაბათის, 6 ივლისის V ეტაპის (ფოკანი — დიუნკერკი, 261 კმ) წინ დაწინაურებულიყო იტალიელი ივან გოტი, მანამდე კი ტურისთვის ელიდერათ ფრანგებს ჟაკი დიურანსა და ლორან ჟალაბერს.

ეს მეხუთე ეტაპი ტურზე უგრძესია. ეტყობა, ამან ცოტა არ იყოს თავგზა აუბნია ორ დაუდეგარ მრბოლს — იტალიელ მარიო ჩიპოლინისა და უზბეკ ჯამოლდინ აბდუჯაფაროვს, რომლებმაც როგორც ბოლოს გაირკვა, ჯგროდან გაქცევა ერთობ ადრე სცადეს. ამ წყვილს ტოლი არც სხვებმა დაუდეს და ფინიშთან, მზე და სიო რომ დაესწრო, კიდეც აჯობეს. გაიმარჯვა აქამდე უცნობმა ჰოლანდიელმა ჯერომ ბლაიდევენსმა, რომელიც მეორე წელია, რაც გაპროფესიონალდა. მეორე ადგილზე ჩეხი იან ზვორადა დარჩა, მესამეზე — გერმანელი ერიკ ზაბელი. სამაგიეროდ, ლიდერობა შეინარჩუნა გოტიმ. იგი ერთი წამით სჯობდა დანიელ ბიანე რისს. გუნდურ ჩათვლაში წინ იყო გოტის გუნდი „გავისი", „მთის მეუფის" შეჯიბრში პირველობდა რუსი დმიტრი კონიშევი, უაქტიურესი მრბოლის მწვანე კვართი კი ჩიპოლინის ეცვა.

პარასკევს, 7 ივლისს, ტურმა 202 კილომეტრითაც წაინაცვლა წინ და ბელგიის საზღვარი გადალახა. ქალაქ შარლერუაში მონაწილეებს ქვეყნის მონარქი ალბერი და ტურის ხუთგზის ჩემპიონი, დიდი ედი მერქსი დაუხვდნენ. ფინიში აღმართზე მოეწყოთ. გაიმარჯვა ზაბელმა („ტელეკომი"), ვინაც ამ დღეს 25 წლისა შესრულდა. მეორე ადგილზე ჟალაბერი გავიდა, მესამეზე — აბდუჯაფაროვი. დანარჩენებმა ჯგროდ დაასრულეს ეტაპი, მაგრამ ჟიურიმ სხვაგვარად განსაჯა — სამწამიანი წყვეტა აღნუსხა, რის გამოც რისს გოტიზე სამი წამით უკეთესი შედეგი ჩაუწერეს. ამის შედეგად დანიელმა მრბოლმა ორი წამით გაუსწრო იტალიელ თანაგუნდელს და ტურის დაწყებიდან მეოთხე ლიდერი შეიქნა.

VII ეტაპზე (შარლერუა — ლიეჟი, 203 კმ), შაბათს რომ მოეწყო, სენსაცია მოხდა. არავინ ელოდა ინდურაინის გამოხდომას, რადგან ყველა ხვდებოდა, რომ „დიდი მიგი" კვირის ჩქაროსნული რბოლის მოგებით ეცდებოდა დაწინაურებას. ვარაუდი არ გამართლდა: ფინიშამდე 25 კილომეტრი რომ დარჩა, ინდურაინი გაიქცა. შვეიცარიელი რომინგერისა და რუსი ბერზინის გუნდებმა — „მაპაიმ" და „გავისმა" ეს რეიდი ყლაპეს და თავიანთი ჯილები გვარიანადაც აზარალეს. ინდურაინს ერთადერთი კაცი — „ონსეს" ბელგიელი მრბოლი იოჰან ბრუნილი აეკიდა და ფინიშზე გვარიანადაც მოუგო. ჯგრო ლტოლვილებს მინიმუმ 49 წამით ჩამორჩა. მასპინძელთა გასახარად ბრუნილმა ყვითელი კვართი ჩაიცვა. ამ ეტაპის შემდეგ იგი 31 წამით კი უგებდა მეორე ადგილზე გადასულ ინდურაინს, მაგრამ ცხადი იყო, რომ მიგელი კვირადღის შემდეგ ხელთ იგდებდა ლიდერობას.

ასეც მოხდა, თუმც ინდურაინს ერთობ გაუჭირდა. მას ანალოგიური ჩქაროსნული რბოლა საფრანგეთის ტურზე 1991 წლიდან აღარ წაუგია, ამჯერად კი 54-კილომეტრიანი ეტაპის (ჰაი — სერენი) ბოლომდე 5 კილომეტრი რომ რჩებოდა, 5 წამით ჩამორჩებოდა რისს. და მაინც, ესპანელმა მაგრად წაიმუშავა და დანიელ მრბოლს ბოლოს მაინც აჯობა 12 წამით. მესამე ადგილზე დარჩა ტონი რომინგერი, რომელიც საათიანი რბოლის მსოფლიო რეკორდსმენი კია, მაგრამ გამარჯვებულს 58 წამით ჩამორჩა. ამრიგად, დასვენებისა და ალპების წინ ყვითელი კვართი, როგორც იქნა, ინდურაინის ერგო. მეორე ადგილზე მიდის რისი, ვინც ლიდერს 23 წამით ჩამორჩება. მესამეა ევგენი ბერზინი (2 წუთი და 20 წამი), მეოთხე — ბრუნილი (2.30), მეხუთე — რომინგერი (2.32), მეექვსე კი — ჟალაბერი (2.47). რბოლას 170 ველოსიპედისტილა შემორჩა.

მიხო ნინუა

## აქეთური, იქითური

კუალა-ლუმპურში, მალაიზიის ბადმინტონის ღია პირველობაზე თავი მოიწონა ცოლ-ქმარმა — ინდონეზიელებმა სუზი სუზანტიმ და ალან ბუდი კუსუმამ გამოიჩინეს. ქალმა 20 წუთში 11:1, 11:6 დაამარცხა მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი, სამხრეთკორეელი [illegible] კი ფინალში 34 წუთში 15:6, 15:8 აჯობა თანამემამულე [illegible]. სუზი და ალანი ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ფიქრობენ შეუღლებას.

*

შოტლანდიელმა მეგოლფე სემ თორენსმა კვირას ქილქენის საგრაფოში გაშენებულ მაუნთ-ჟულიეთის გოლფ-კლუბში ირლანდიის ღია პირველობა მოიგო, ჰონორარად 108 ათასი გირვანქა მიითვალა და ამ შემოდგომით ამერიკის ნაკრებთან რაიდერის თასზე სათამაშოდ ევროპის გუნდშიც დაიმკვიდრა ადგილი. თორენსმა და ინგლისელებმა ქლარქმა და ქეიჯმა შეჯიბრი ოთხგზის ნორმაზე 11 დარტყმით უკეთესი შედეგით დაასრულეს, რის გამოც გადათამაშება მოუხდათ. ქეიჯს ბურთი წყალში ჩაუვარდა, ქლარქმა ხეს გაარტყა, მაგრამ მაინც „ჩიტუნია" (ნორმაზე ორით უკეთესი) გაახერხა, თორენსმა კი „არწივი" (სამით უკეთესი) შეიძლო!

*

ლიგის რაგბში ავსტრალიის „კენგურუმ" პარასკევს, სიდნეიში მეორე ტესტიც მოუგო ახალი ზელანდიის „კივის" 20 (10):10(10) და სერიაში გამარჯვება გაინაღდა. მესამე ტესტი ამ პარასკევს ბრისბენში გაიმართება. შაბათ-კვირის ტურის შემდეგ „ვინფილდის თასს" ლიდერობს „მენლი", რომელსაც ოთხი ქულით ჩამორჩებიან „კანბერა" და „ნიუკასლი".

*

36 წლის მეჯიქ ჯონსონმა განაცხადა, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" მომმართა, მოთამაშედ დაგვიბრუნდიო, თუმც კონკრეტული პირობები ჯერ არ შემოუთავაზებიაო. ჯონსონმა აქამდე ორჯერ დაანება თავი კალათბურთის ეროვნულ ასოციაციას (ნბა), ვინაიდან შიდსის გამომწვევი ვირუსითაა დასნებოვნებული და კოლეგები ისე გაურბიან, როგორც კეთროვანს.

*

კონექტიკუტის შტატში მიმდინარე ხეიბართა საერთაშორისო თამაშებზე, ანუ სპეციალურ ოლიმპიადაზე ტრაგედია დატრიალდა: ნეპალის გუნდის ფეხბურთელი რამეშ მალი ჯერ დაიკარგა, მერე კი წყალსატევში ჩამხრჩვალი იპოვეს.

*

ჩეხმა ჭოკით მხტომელმა ქალმა დანიელა ბარტოვამ ერთხელაც გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი: ოსტრავაში 415 სანტიმეტრზე ახტა. 3 ათას და 10 ათას მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდსმენი, ჩინელი ქალი ვან ჯუნშა ტიტულს არ დაიცავს მსოფლიო პირველობაზე, 4 აგვისტოს გეტებორგში რომ უნდაა დაიწყოს. ვანი თურმე ატლანტის ოლიმპიადისთვის საგანგებოდ ემზადება. ორშაბათს პარიზში, ოთხშაბათს კი ლოზანაში გამარჯვების შემდეგ 35 წლის იამაიკელმა მერლინ ოთიმ 200 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა პარასკევსაც, ამჯერად ლონდონის „კრისტალ პალასზე". ოთის შედეგია 22,47 წამი.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


# მფრინავი ბიჭი



დენის როდმანი, ფარიდან ბურთის მოხსნის დიდოსტატი, ჩვენებური თქმით, ცოტას აფრენს. ამას წყალი არ გაუვა — წარამარა და რა ფრად არ იღებავს თმებს — ხან ლურჯად, ხან წითლად, ხანაც ყვითლად. მანათობელ ფეხსაცმელებსაც იცმევს. სხვა ამგვარი სისულელეები კიდევ ცალკე მოსათვლელია. ბოლო ხანს ისიც გადაუწყვეტია — ბარემ ავდგები, თავად გავფრინდებიო და „ბეტმენ III"-ში („კაცი-ღამურაში") მთავარ როლზე დათანხმებულა. „სპორტბილდსაც" თავად განუცხადა — ჩემგან ნურაფერს გაიკვირვებთ, მამალი გიჟი ვარო.

**— „სან-ანტონიო სპურზმა" 105 000 დოლარით დაგაჯარიმათ იმის გამო, რომ უმიზეზოდ აცდენდით ვარჯიშებს და თამაშებზეც იგვიანებდით...**

— არ მაძლევენ უფლებას დენის როდმანი ვიყო. ვინც მიცნობს, იცის, რომ თამაშს ყოველთვის მთელ სულსა და გულს ვატან, ვარჯიში კი არ მიყვარს. მე კლუბისთვის სხეულის არცერთ ნაწილს არ ვზოგავ.

**— დენის როდმანი — ხომ არ ნიშნავს მუდმივ კრიტიკასა და დისკვალიფიკაციას...**

— მე გიჟი ვარ. საოცრად მიყვარს ფარქვეშ ბურთისთვის ბრძოლა, ქულების დაგროვება კი დიდ სიამოვნებას არ მანიჭებს.

**— რამ შეგაყვარათ ფარიდან ბურთის მოხსნა — ეს თქვენი ხასიათია?**

— მოხსნა ჩემი კოზირია. ეს შავი სამუშაოა, რომლის გაკეთება არავის სურს. მე კი ყოველთვის სერიოზულად ვეკიდები მას. კარიერის დამთავრების შემდეგ მსურს მშენებლობაზე ვიმუშაო.

**— როგორ გგონიათ, წარმატებას ვერასოდეს მიაღწევთ?**

— დიახ, ასეა. გაოგნებული ვარ ხოლმე, როცა რაიმე წარმატებას ვაღწევ. მწამს, რომ NBA-ს არ ვეკუთვნი. ახალგაზრდობაში ჩემზე უფრო ნიჭიერ კალათბურთელებს ვიცნობდი, რომლებმაც ვერაფერს მიაღწიეს.

**— თქვენ უმამოდ გაიზარდეთ, საპირფარეშოების მწმენდავადაც გიმუშავიათ. ახლა საოცრად ორიგინალური ბრძანდებით. ესმით თუ არა ადამიანებს თქვენი?**

— არც მინდა, ვინმემ დენის როდმანს გაუგოს. მსურს, რომ ხალხს აინტერესებდეს მხოლოდ როდმანი — სპორტსმენი და არა როდმანი — ადამიანი.

**— თქვენ ცხრა სვირინგი გაქვთ და ხშირად იცვლით თმის შეფერილობას. რა იმალება ამ ნიღბის უკან?**

— გიჟმაჟი ჯეელი საოცრად კეთილი გულით. მე განსაკუთრებული ჯიშისა ვარ. მიყვარს ყველაფრის დაუფლება, რაც კი გზაზე გადამეყრება.

**— ტანზე თქვენი ქალიშვილის სახელი — ალექსისიც გაწერიათ.**

— ჩემი გოგონა ქვეყანაზე ყველაფერს მირჩევნია. სამწუხაროდ, მას იშვიათად ვხედავ. ალექსისი რომ მუდამ ჩემთან იყოს, პროფესიულ კალათბურთს თავს დავანებებდი.

**— რისი გეშინიათ?**

— საკუთარი თავის. მეშინია, რომ ვერ შევძლებ საკუთარი თავის დამარცხებას. სხვებზე რომ იძალო, ჯერ შენს თავს უნდა მოერიო.

**— თქვენი დამოკიდებულება მადონასადმი?**

— ის მართლაც საინტერესო ქალია, მე მასაც ვაინტერესებ, რადგან ყველასგან განსხვავებული ვარ. მე NBA-ს მადონა ვარ.